

HEINRICH BÖLL STIFTUNG
თბილისი
სამხრეთ კავკასია

ერაფორგალორი
საქოქალაქო ჯგუფების
ჩართულობა
ადგილოგრივ დონეზე
გადაწყვეტილების მიღების
პროცესში

ნინო ზუბაშვილი

არაფორმალური სამოქალაქო ჯგუფების ჩართულობა ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში

ნინო ზუბაშვილი

კვლევაში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორს და შესაძლოა არ
გამოხატავდეს ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის თბილისის ოფისის შეხედულებებს.

შინაარსი

შესავალი	4
სამოქალაქო მონაწილეობის გამოცდილება და მექანიზმები საქართველოში	7
სათემო ორგანიზაციები და მონაწილეობა თემის განვითარებაში	10
კვლევის დიზაინი	15
საკვლევ მიზანშეწონიერების მუდმივობა	15
ოპერაციონალიზაცია	15
მონაცემთა შეგროვება და ანალიზი	16
კვლევის სანდოობა, ვალიდობა და შეზღუდვები	18
კვლევის მიზნები	19
საინიციატივო ჯგუფების მახასიათებლები და მათი აღმოცენების მიზეზები	19
საინიციატივო ჯგუფების ურთიერთობა თემთან	23
საინიციატივო ჯგუფების ურთიერთობა ადგილობრივ ხელისუფლებასთან	27
განხილვა და დასკვნები	35
ბიბლიოგრაფია	39

შესავალი

სამოქალაქო საზოგადოების მნიშვნელობა წარმომადგენლობითი დემოკრატიული სისტემების ჩამოყალიბებისა და მდგრადი განვითარებისთვის დიდი ხანია ეჭვს აღარ იწვევს. ცივი ომის შემდგომ საზოგადოებებში, რომლებიც დემოკრატიული ტრანზიციის პროცესში არიან, მათ შორის პოსტსაბჭოთა ქვეყნებში, სამოქალაქო საზოგადოების იდეა კვლავ გააქტიურდა და მოექცა როგორც მკვლევრების, ისე გადაწყვეტილებების მიმღებებისა და განვითარების ეროვნული თუ საერთაშორისო სააგენტოების ყურადღების ცენტრში (Lewis, 2014). ეს პროცესი, ერთი მხრივ, ეფუძნებოდა დაშვებას, რომ სამოქალაქო სექტორს შეუძლია სხვადასხვა ფორმით შეუწყოს ხელი დემოკრატიაში და განვითარებაში, მათ შორის, მოქალაქეების საქმიანობების შესაბამისი პოლიტიკისა და კანონმდებლობის შემუშავების ხელშეწყობის, ეფექტიანი იმპლემენტაციისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფის გზით (Puig, 2016). მეორე მხრივ, სამოქალაქო საზოგადოება მოიაზრებოდა სახელმწიფოს ცენტრალიზაციისა და ბაზარზე ჭარბი დამოკიდებულების მავნე პრაქტიკის ალტერნატივად, „ჯადოსნურ“ ინგრედიენტად, რომელსაც შეუძლია სახელმწიფოსა და ბაზრის „მარცხის“ გამოსწორება, და საზოგადოებრივ კოჰეზიასა და კაპიტალიზმს შორის დაძაბულობის შერბილება (Edwards, 2011).

მიუხედავად ფორმების მრავალგვარობისა, ბევრ განვითარებად ქვეყანაში, მათ შორის საქართველოში, სამოქალაქო საზოგადოების ძირითად ბირთვად იქცა ფორმალური, ინსტიტუციონალიზებული სამოქალაქო ორგანიზაციები, რომლებიც, ძირითადად რესურსდამოკიდებულების გამო, დასავლური დონორების დღის წესრიგზე არიან დამოკიდებულნი, და განდენ კიდეც არაერთი მკვლევრის კრიტიკის საგანი, რომელთაც მიაჩნიათ, რომ დონორებსა და სამოქალაქო პარტნიორებს შორის ასეთი ურთიერთობა ჰეგემონიური ურთიერთობების კვლავწარმოებას უწყობს ხელს (Mohan & Stokke, 2000).

მიუხედავად იმისა, რომ სამოქალაქო საზოგადოებაზე საქართველოში ინფორმაცია მწირია, ბოლო წლებში ჩატარებული კვლევები აჩვენებს, რომ სამოქალაქო ორგანიზაციები ვერ პასუხობენ მოსახლეობისა თუ ადგილობრივი თემების პირდაპირ საქმიანობებს, ვერ რთავენ საზოგადოებას საკუთარ საქმიანობაში და, შესაბამისად, საზოგადოების ნდობა მათ მიმართ დაბალია (EMWI-ACCESS & CTC, 2016; Puig, 2016). მიუხედავად იმისა, რომ სამოქალაქო სექტორი თითქმის მთლიანად დონორების დაფინანსებაზეა დამოკიდებული, თუკი დედაქალაქში ფუნქციონირებადი ორგანიზაციები, მეტწილად, ადამიანის უფლებებისა და მმართველობის საკითხების ადვოკატირებასა და ლობირებაზე არიან კონცენტრირებულნი, და ნაკლები კომუნიკაცია აქვთ მოქალაქეებთან, ადგილობრივ ორგანიზაციებს შედარებით მეტი პირდაპირი კომუნიკაცია აქვთ მოქალაქეებსა და ბენეფიციარებთან, და მეტად არიან ორიენტირებულნი სერვისების მიწოდებასა და თემის განვითარებაზე (ibid.). ხსენებული მიმართულების გასაძლიერებლად, ბოლო პერიოდში, როგორც ადგილობრივმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა, ისე საერთაშორისო ორგანიზაციებმა დაიწყეს სათემო საინიციატივო ჯგუფების ჩამოყალიბება გარკვეული პროგრამებისა თუ პროექტების ფარგლებში. ამის მაგალითებია, ქალთა თვითდახმარების ჯგუფები (ჩამოყალიბებული ფონდ „ტასოსა“ და გაეროს ქალთა ორგანიზაციის მხარდაჭერით), ადგილობ-

რივი განვითარების ჯგუფები (ჩამოყალიბებული ევროკავშირის მხარდაჭერით), ახალგაზრდების საინიციატივო ჯგუფები (ჩამოყალიბებული ევროპის ფონდის მხარდაჭერით) და სხვა. ბოლო ათწლეულში გაჩნდა სამოქალაქო მოძრაობების არაერთი მაგალითიც (ენერგოპოლიტიკასთან დაკავშირებით თუ კულტურული მემკვიდრეობის დასაცავად გაჩენილი საპროტესტო მოძრაობები და სხვა), როდესაც მოქალაქეთა ჯგუფები ორგანიზებულად ცდილობდნენ წინააღმდეგობა გაეწიათ სოციალურ-ეკონომიკური ჩაგვრისა თუ განვითარების ისეთი ინიციატივებისთვის, რომელიც არ იყო გამჭვირვალე, რომელზე მსჯელობაც ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობის გარეშე მიმდინარეობდა, და რომელშიც უგულვებელყოფილი იყო კეთილდღეობის, კულტურული და გარემოსდაცვითი ასპექტები (ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი, 2017).

ამ ფონზე, როდესაც მართალია მწირი, მაგრამ მაინც გარკვეული ცოდნა არსებობს არასამთავრობო სექტორსა და სამოქალაქო და სათემო მოძრაობებზე საქართველოში, ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში თემის მონაწილეობაზე, იმ სამოქალაქო ჯგუფების მონაწილეობაზე, რომლებიც ინსტიტუციონალიზებული ორგანიზაციების დღის წესრიგისგან დამოუკიდებლად მოქმედებენ, თითქმის არაფერია ცნობილი. ეს ჯგუფები ნაკლებად გამოკვლეულია არა მარტო საქართველოში, არამედ მის გარეთაც. სამოქალაქო საზოგადოების მკვლევრებს ხშირად აკრიტიკებენ სამოქალაქო საზოგადოების არასამთავრობო ორგანიზაციებთან გაიგივებისა და კონტექსტის ანალიზს დაშორებული კვლევის გამო, მაშინ როდესაც სამოქალაქო საზოგადოება მოიცავს მრავალფეროვან აქტორებს, მათ შორის, არაფორმალურ ჯგუფებს, სოციალურ მოძრაობებსა და ქსელებს, რომლებიც არაერთ ბრძოლაში არიან ჩაბმულნი ჰეგემონიების წინააღმდეგ (Kontinen & Millstein, 2017). არაფორმალურ სამოქალაქო ჯგუფებზე ინფორმაციის ნაკლებობა იმითაც არის გამოწვეული, რომ ასეთი ჯგუფების იდენტიფიცირება რთულია და ამის გამო, ლიტერატურაში არაფორმალური სამოქალაქო ჯგუფები ასოცირდება „შავ ყუთთან“ (Puig, 2016), „ბნელ მატერიასთან“ (Smith, 1997b) და სხვა.

ბოლო ათწლეულში საქართველოში სოციალური მოძრაობების შესწავლისას ავტორები აღნიშნავენ, რომ საქართველოს სოციალური ისტორია იკარგება, რადგან ისტორიკოსები, ანთროპოლოგები, სოციოლოგები, პოლიტოლოგები და სხვანი, ვინც მიმდინარე სოციალურ-პოლიტიკურ პროცესებს შეისწავლიდნენ, ვერ ახერხებდნენ მარგინალიზებული აქტორების, მოძრაობების, პროცესების შესწავლას (ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი, 2017). მსგავსად, არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც, ჩვენთვის უცნობია არაფორმალური სამოქალაქო ჯგუფები და მათი საქმიანობა თემის დონეზე, რადგან ის მწირი კვლევაა კი, რაც სამოქალაქო სექტორის გარშემო არსებობს, კვლევის არეალში მხოლოდ ინსტიტუციონალიზებულ არასამთავრობო ორგანიზაციებს მოიაზრებს.

არაფორმალური სამოქალაქო ჯგუფების გარშემო ცოდნის დეფიციტის მცირედით მაინც აღმოფხვრის მიზნით, წინამდებარე კვლევა შეისწავლის არაფორმალური სამოქალაქო ჯგუფების ურთიერთობას თემთან და მათ ჩართულობას ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში. უფრო კონკრეტულად, კვლევის ამოცანაა, გააანალიზოს:

- რა მიზეზები განაპირობებს არაფორმალური სათემო ჯგუფების აღმოცე-

ნებას;

- რამდენად წარმოდგენენ არაფორმალური სათემო ჯგუფები თემის ინტერესებსა და საჭიროებებს და ქმნიან სივრცეებს სამოქალაქო მონაწილეობისთვის;
- რა არის გადაწყვეტილების მიღების პროცესში სათემო მონაწილეობის ხელის შემწყობი და ხელის შემშლელი ფაქტორები;
- რამდენად ახდენს გავლენას ჯგუფის მახასიათებლები და ჯგუფის ფორმის ცვლილება თემსა და ადგილობრივ ხელისუფლებასთან ურთიერთობაზე.

თვისებრივი მეთოდების გამოყენებით, წინამდებარე ნაშრომი ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში თემის ჩართულობას სწავლობს მუხლდული შესაძლებლობების მქონე (შემდგომში შშმ) პირების საკითხებზე მომუშავე არაფორმალური ადგილობრივი სათემო ჯგუფების მაგალითზე, ვინაიდან, შშმ პირები ერთ-ერთი ყველაზე მოწყვლადი ჯგუფია საქართველოში და გამოცდილება აჩვენებს, რომ ხშირად შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე საინიციატივო ჯგუფები ფორმალურ ორგანიზაციებს აყალიბებენ, რათა უკეთ ჩართონ მუხლდული შესაძლებლობების მქონე პირები ან მათი მშობლები/მზრუნველები გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

კვლევას აქვს აკადემიური მნიშვნელობა იმ თვალსაზრისით, რომ ცდილობს იმ ჯგუფებისა და ცნებების ოპერაციონალიზაციას და, შესაბამისად, ემპირიული კვლევის ჩარჩოებში მოქცევას, რომლებიც აქამდე, დიდწილად, ამ ჩარჩოების მიღმა იყვნენ და, შესაბამისად, მათზე ცოდნაც მწირია. მეორე, რამდენადაც შეისწავლის ადგილობრივ ხელისუფლებაში სამოქალაქო მონაწილეობის ხელის შემწყობ და ხელის შემშლელ ფაქტორებს, კვლევას შეიძლება ჰქონდეს პრაქტიკული მნიშვნელობა იმ ჯგუფებისთვის, რომლებიც განიზრახავენ ადგილობრივ ხელისუფლებასთან ურთიერთობას თემის ინტერესების გატარების მიზნით.

ნაშრომის პირველ თავში მიმოხილულია სამოქალაქო მონაწილეობის გამოცდილება და მექანიზმები საქართველოში. მეორე თავში მიმოხილულია სათემო ორგანიზაციების მნიშვნელობის, მათი აღმოცენების მიზეზების, ხელისუფლებისა და სამოქალაქო საზოგადოების ურთიერთობის გარშემო არსებული თეორიული მიდგომები. მესამე თავში განხილულია კვლევის მიდგომები და მეთოდოლოგია. მეოთხე თავში წარმოდგენილია კვლევის მიგნებები, რომელიც გაანალიზებულია წინარე გამოცდილებასთან, საქართველოს კონტექსტში არსებულ დაკვირვებებსა თუ თეორიულ მიდგომებთან მიმართებით. დასკვნითი ნაწილი კი აჯამებს კვლევის შედეგებს.

სამოქალაქო მონაწილეობის გამოცდილება და მექანიზმები საქართველოში

სამოქალაქო საზოგადოება საქართველოში მრავალფეროვანი და სიცოცხლი-სუნარიანია, სამართლებრივი ჩარჩო და ჩართულობის მექანიზმებიც ხელსა-ყრელ გარემოს ქმნის მისი არსებობისათვის, თუმცა, ფინანსური მდგრადობა, საჯარო იმიჯი, მოსახლეობის ჩართულობა, და გადაწყვეტილების მიღების პრო-ცესსა და ქვეყანაში ცვლილებებზე გავლენა კვლავ მნიშვნელოვანი გამოწვევაა (Freedom House, 2021; Puig, 2016).

სამოქალაქო საზოგადოება საქართველოში, დიდწილად, არასამთავრობო ორგანიზაციების სახით არის წარმოდგენილი, ძირითადი ბირთვი თბილის-შია რეგისტრირებული, პროფკავშირები, ბიზნესასოციაციები და სხვა ინტერე-სთა ჯგუფები კი შედარებით ნაკლებხილულნი არიან (Freedom House, 2015). რეგიონულ დონეზე საკმაოდ აქტიურია დროებითი და არაფორმალური ორგა-ნიზაციები, რომლებსაც, კანონის თანახმად, რეგისტრაციის გარეშე შეუძლიათ აწარმოონ საქმიანობა. ზოგადად, როგორც ქალაქში, ისე სოფლად, არაფორმა-ლური ჯგუფები მრავლადაა, რაც მოიცავს როგორც სათემო, ისე რწმენაზე და-ფუძნებულ ორგანიზაციებს, სამეზობლო ასოციაციებს და სხვა, თუმცა მათი მახა-სიათებლების შესახებ თითქმის არაფერია ცნობილი (ADB, 2020).

თუკი დედაქალაქში ფუნქციონირებადი ორგანიზაციები, მეტწილად, ადამია-ნის უფლებებისა და მმართველობის საკითხების ადვოკატირებასა და ლობირე-ბაზე არიან კონცენტრირებულნი და ნაკლები კომუნიკაცია აქვთ მოქალაქეებთან, ადგილობრივი ორგანიზაციები ორიენტირებულნი არიან სერვისების მიწოდე-ბასა და თემის განვითარებაზე და მეტი პირდაპირი კომუნიკაცია აქვთ ბენეფი-ციარებთან. ორივე შემთხვევაში, მათი საქმიანობა დონორების დაფინანსებაზეა დამოკიდებული, და ხშირად, დაფინანსების დასრულების შემდეგ არსებობას ვეღარ განაგრძობენ, ათიათასობით დარეგისტრირებული ორგანიზაციიდან მხოლოდ რამდენიმე თუ ფუნქციონირებს რეალურად (Puig, 2016). მიუხედა-ვად იმისა, რომ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები მნიშვნელოვნად მიიჩნევა დემოკრატიის კონსოლიდაციისათვის საქართველოში, რადგან მოი-აზრებიან ერთ-ერთად იმ მცირე ინსტიტუციონალიზებულ სუბიექტებს შორის, რომლებიც ხანდახან მაინც ახერხებენ აიძულონ ხელისუფლება, ანგარიშვალდე-ბული იყოს მოსახლეობის წინაშე, მათი უმრავლესობა ვერ პასუხობს მოსახლეო-ბის პირდაპირ საჭიროებებს, არ აქვს პირდაპირი კომუნიკაცია და, შესაბამისად, ვერ რთავს საზოგადოებას საკუთარ საქმიანობაში, რაც საზოგადოების მხრიდან ნდობაზე უარყოფითად აისახება (EMWI-ACCESS CTC, 2016; Puig, 2016). საზოგა-დოებრივი აზრის ბოლოდროინდელი გამოკითხვის შედეგებიც აჩვენებს, რომ არასამთავრობო ორგანიზაციებს ნდობას მოსახლეობის მხოლოდ მეოთხედი უცხადებს (CRRC, 2020). სამოქალაქო საზოგადოებაში დაბალ მონაწილეობას მკვლევრები პოსტკომუნისტური სივრცის საერთო მახასიათებლად მიიჩნე-ვენ, რის მიზეზადაც, სამეგობრო ქსელების მდგრადობასა და პოსტკომუნისტურ იმედგაცრუებასთან ერთად, სწორედ ორგანიზაციებისადმი უნდობლობას მიი-

ჩნევენ (ჰოვარდი, 2011).

ფორმალურ სამოქალაქო ორგანიზაციებს გარკვეული გავლენა აქვთ პოლიტიკაზე მონიტორინგის გზით და უფრო მჭიდრო კავშირი აქვთ საკანონმდებლო ორგანოებთან სხვა სამთავრობო სტრუქტურებთან შედარებით, თუმცა, პოლიტიკის შემუშავებასა და იმპლემენტაციაზე მათი გავლენა სუსტია (EMWI-ACCESS & CTC 2016). საქართველოში მომუშავე რეგისტრირებული სამოქალაქო ორგანიზაციების შემთხვევითი შერჩევის საფუძველზე ჩატარებული კვლევა აჩვენებს, რომ ორგანიზაციათა 61 პროცენტი იყო ჩართული დიალოგში ხელისუფლებასთან, თუმცა მხოლოდ 36 პროცენტი აცხადებს, რომ ლობირების კამპანიებმა რაიმე შედეგი გამოიღო პოლიტიკასა თუ კანონმდებლობაში ცვლილებების მიმართულებით (EPCSF & EaP, 2021).

სამოქალაქო ჯგუფებს მუნიციპალურ ხელისუფლებასთან თანამშრომლობის მეტი შესაძლებლობა აქვთ, ვინაიდან საკითხები, რომელზეც ისინი მუშაობენ, პოლიტიკურად ნაკლებწინააღმდეგობრივია, კავშირები სამოქალაქო ჯგუფებსა და ხელისუფლებას შორის უფრო მჭიდროა და, გარდა ამისა, შეზღუდული რესურსებიდან გამომდინარე, ადგილობრივი ხელისუფლება უფრო ღიაა თანამშრომლობისათვის (EMWI-ACCESS & CTC 2016). მეორე მხრივ, მჭირი რესურსები ზღუდავს სამოქალაქო ჯგუფების აქტიურობას ადგილობრივ დონეზე, თუმცა ადგილობრივ ხელისუფლებასთან ურთიერთობის წარმატებული მაგალითები განსხვავდება რეგიონების მიხედვით და დამოკიდებულია როგორც ადგილობრივი სამოქალაქო ორგანიზაციების, ისე ადგილობრივი ხელისუფლების მანქანათებლებზე (Puig, 2016).

მართალია, საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების კვლევა, ძირითადად, ფორმალური ორგანიზაციების გამოცდილებას ეფუძნება, 2010 წლის შემდგომ პერიოდში, წინააღმდეგობის პოლიტიკის კვლევა აჩვენებს, რომ წინააღმდეგობა, ძირითადად, უკავშირდებოდა განვითარების ინიციატივებს, რომელიც ადგილობრივ მოსახლეობასთან კომუნიკაციის გარეშე ხორციელდებოდა. გარდა ამისა, წარმატებული მობილიზაციის შემთხვევებშიც კი, მდგრადი წინააღმდეგობა და საინიციატივო ჯგუფებს შორის კომუნიკაცია გამოწვევად რჩება (ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი, 2017). აღნიშნული კვლევის თანახმად, მეტი რესურსის მქონე ფორმალური სამოქალაქო ჯგუფები ხშირად გულგრილნი არიან თვითმობილიზებული, ხშირად მარგინალიზებული ჯგუფების პოლიტიკური ბრძოლის მიმართ. ტრადიციულ და არაფორმალურ სამოქალაქო ჯგუფებს შორის გამოცდილების გაზიარების შემთხვევები იშვიათია, მაშინ როცა ფორმალურ სამოქალაქო ჯგუფებს მჭიდრო ურთიერთობა აქვთ მელისა და საერთაშორისო პარტნიორებთან.

რაც შეეხება გადაწყვეტილების მიღებაში ჩართულობის მექანიზმებს, საქართველოს ხელისუფლება ვალდებულია, საჯარო პოლიტიკის მიღებამდე განახორციელოს საჯარო კონსულტაციები დაინტერესებული პირებისა და ფართო საზოგადოების მონაწილეობით. ეროვნულ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის მარეგულირებელ სტრატეგიულ დოკუმენტებსა და ნორმატიულ აქტებთან ერთად, ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა და დაინტერესებულ მხარეთა მონაწილეობას არეგულირებს „საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“. ხელისუფლების წარმომადგენლები ვალდებულნი არიან, რეგლამენტით დადგენილი წესით შეხვდნენ მოქალაქეებს და გაეცნონ მათ წერილებსა და მიმართვებს,

ხოლო მოქალაქეებს, თავის მხრივ, ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში შემდეგი ფორმით აქვთ მონაწილეობის მიღების უფლება: დასახლების საერთო კრებაში მონაწილეობა, პეტიციის წარდგენა, სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოში მონაწილეობა, საკრებულოსა და კომისიის სხდომებში მონაწილეობა, ბიუჯეტის პროექტის შემუშავებასა და განხილვაში მონაწილეობა, ხელისუფლების წარმომადგენელთა მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშების მოსმენა და სხვა (საქართველოს პარლამენტი, 2014).

მიუხედავად საკითხის პრიორიტეტულობისა, ვერც ხელისუფლება და ვერც სამოქალაქო საზოგადოება ვერ უზრუნველყოფს საზოგადოების ჩართვას გადაწყვეტილების მიღების პროცესში (EMWI-ACCESS & CTC 2016; WeResearch, 2021). ამის ფონზე, საჯარო კონსულტაციის ხელმისაწვდომობის ზრდის ერთ-ერთი გზა შეიძლება იყოს ადგილობრივი ხელისუფლების რესურსების გამოყენება რთულად მისაწვდომი ჯგუფებისთვის ხმის მისაწვდენად (WeResearch, 2021).

სათემო ორგანიზაციები და მონაწილეობა თემის განვითარებაში

როგორც ზემოთ აღინიშნა, სამოქალაქო საზოგადოებაზე არსებული ლიტერატურა, ძირითადად, ფორმალური ორგანიზაციების შესწავლაზეა ორიენტირებული, ან შეისწავლის საკითხს ფართოდ, მოიცავს სამოქალაქო საზოგადოების ყველა ტიპს, ფორმალურსა თუ არაფორმალურს, და ურთიერთმონაცვლეობით იყენებს ისეთ ცნებებს, როგორცაა სათემო, მოხალისეობრივი, არამოგებიანი, მესამე სექტორი და სხვა. მიუხედავად იმისა, რომ განვითარებად ქვეყნებში თემის ჩართულობას გარკვეული კვლევები ეძღვნება, ამ თემაზე არსებული ძირითადი ლიტერატურა მაინც განვითარებული, დემოკრატიული მმართველობის ხანგრძლივი ისტორიის მქონე ქვეყნების გამოცდილებას ეყრდნობა, და ორიენტირებულია თეორიების განვითარებასა ან შემოწმებაზე, პრაქტიკული ჩარჩომოდლებების ჩამოყალიბებაზე, ან სამოქალაქო საზოგადოების მნიშვნელობის შესწავლაზე სხვადასხვა კონტექსტში, დიდწილად, დემოკრატიისა და მდგრადი განვითარებისთვის მის მნიშვნელობაზე.

ამის ფონზე, წინამდებარე თეორიული მსჯელობის მიზანია, განსაზღვროს სათემო ჯგუფების აღმოცენებისა და განვითარების წინაპირობები და მათი საქმიანობის შედეგები, სახელმწიფო თუ არასახელმწიფო აქტორებთან მათ ურთიერთობაზე მოქმედი ფაქტორები, რის საფუძველზეც შემდგომ შესაძლოა განალიზდეს საქართველოში არსებული სათემო ჯგუფების მუშაობის სპეციფიკა. ეს თეორიები, ცალკეული თუ ერთად აღებული, შეიძლება სრულყოფილად ვერ ხსნის სათემო ორგანიზაციების, მით უფრო, მოხალისეობრივი, არაფორმალური ჯგუფების წარმოქმნის მიზეზებს, მახასიათებლებსა თუ გადაწყვეტილების მიღების პროცესში მათი მონაწილეობის სპეციფიკას, გარკვეულწილად მაინც ავსებს ერთმანეთს და იძლევა საშუალებას, განისაზღვროს საკითხები და მიმართულებები ქართულ კონტექსტში სამოქალაქო ჯგუფების შესასწავლად.

სამოქალაქო და მოხალისეობრივი სექტორის კვლევაში ხშირად გამოიყენება ეკონომიკური ლიბერალიზმის წიაღში ჩამოყალიბებული „მარცხის“ თეორიები, რომელიც სამოქალაქო საზოგადოების აღმოცენებას საბაზრო ეკონომიკის პირობებში მოთხოვნის ზრდას უკავშირებს (Dollery & Wallis, 2001; Edwards, 2011; O'Donovan, 2019; Salamon, 1987; Ryser & Halseth, 2014; Steinberg, 2006). ეს თეორიები შეიძლება გაერთიანდეს სამი – ბაზრის, მთავრობისა და მოხალისეობრივი სექტორის – მარცხის მიდგომაში, რომლის ძირითადი დაშვება არის ის, რომ როდესაც ერთი სექტორი ვერ აკმაყოფილებს საზოგადოების მოთხოვნას სერვისებზე/მომსახურებაზე, ამას საკუთარ თავზე იღებს რომელიმე სხვა სექტორი. მართალია, არაფორმალური ჯგუფები თავისთავად მოიაზრება მოხალისეობრივ სექტორში, ეს თეორიები, ძირითადად, მაინც ფორმალურ ჯგუფებზეა მორგებული, რაზეც ხშირად ის მიანიშნებს, რომ არაფორმალურ ჯგუფებს გამოყოფენ ხოლმე საერთო მსჯელობიდან, როგორც ცალკეულ მაგალითებს.

თუკი ბაზრისა და ხელისუფლების მარცხის თეორიები გულისხმობს, რომ დემოკრატიულ საზოგადოებაში არამოგებიანი ორგანიზაციები აღმოცენდება გარ-

კვეულ პროდუქტსა თუ მომსახურებაზე მოთხოვნის შედეგად, რომელსაც ბაზარი ან ხელისუფლება შესაბამისად ვერ პასუხობს, მოხალისეობრივი სექტორის მარცხის თეორია უშვებს, რომ როდესაც მოხალისეობრივი სექტორი ვერ ახერხებს სერვისების მიწოდებას, ხელისუფლება საკუთარ თავზე იღებს მოსახლეობის მოთხოვნების დაკმაყოფილებას (O'Donovan, 2019). თეორია უშვებს, რომ საჯარო სერვისების მოთხოვნისა და მიწოდების მექანიზმებს განაპირობებს საშუალო ამომრჩევლის პრიორიტეტები. ხელისუფლება, გარკვეულწილად, შეზღუდულია საჯარო სერვისების მიწოდებაში, და აწარმოებს მხოლოდ იმ რაოდენობისა და სახის პროდუქტს, რაც უმრავლესობის მხარდაჭერას მოიპოვებს. სწორედ ამ დროს ჩნდებიან არამოგებიანი ორგანიზაციები, რომლებიც პასუხობენ საზოგადოების იმ სეგმენტის საჭიროებებს, რომელიც ყურადღების მიღმა რჩება.

მარცხის თეორიას ეყრდნობა, მაგრამ, ამავედროულად, ნაწილობრივ უპირისპირდება ე.წ. სინქრონული მარცხის მიდგომა, რომლის მთავარი დაშვება არის ის, რომ გარკვეულ გარემოში ორივე, სამთავრობო და სამოქალაქო სექტორი განიცდის მარცხს იმ თვალსაზრისით, რომ ვერ ახერხებს საზოგადოების მოთხოვნების ნაწილობრივ ან სრულად დაკმაყოფილებას (O'Donovan, 2019). თეორიის მიხედვით, სახელმწიფო და სამოქალაქო სექტორი ურთიერთდამოკიდებულია რესურსების თვალსაზრისით, და აკავშირებს საჯარო სერვისების თანაწარმოებას, სადაც სახელმწიფოს სჭირდება მოხალისეობრივი სექტორის შესაძლებლობები და ექსპერტიზა, მოხალისეობრივ სექტორს კი, მთავრობის ფინანსური რესურსი. ამ მიდგომას იზიარებენ მარცხის თეორიის კრიტიკოსებიც იმ დაშვების საფუძველზე, რომ როდესაც მოთხოვნა საშუალო ამომრჩევლის ზღვრულს ზემოთ ან ქვემოთ არის, ორივე სექტორი მარცხს განიცდის, ვინაიდან მოთხოვნილი სერვისები ზედმეტად დიფუზიურია იმისათვის, რომ რომელიმე სექტორმა დააკმაყოფილოს (Steinberg, 2006). ასეთ დროს სერვისებზე პასუხისმგებლობას იღებენ არაფორმალური ჯგუფები, რადგან მოთხოვნა ძალიან დაბალი ან მარგინალურია. ან პირიქით, სერვისზე მოთხოვნა ჭარბია, პრობლემის მასშტაბიდან გამომდინარე. ასეთ დროს, ორივე სექტორი ნაწილობრივ ან ერთდროულად უუნაროა, დააკმაყოფილოს სერვისებზე მოთხოვნა ზემოთ ხსენებული მიზეზებიდან გამომდინარე. როდესაც ფინანსური რესურსი საკმარისია მხოლოდ გარკვეული გეოგრაფიული არეალისთვის, მოხალისეობრივი ორგანიზაციები რელიგიური, ეთნიკური თუ სხვა რაიმე ნიშნით გამორჩეულ ჯგუფებს ემსახურებიან, თემის პრობლემებსა და მათი გადაჭრის გზებს განსაზღვრავს ის, ვის ხელშიც არის რესურსი, და მოხალისეობრივი სექტორის ექსპერტიზის დონე დაბალია, სახელმწიფოსთან ერთად, არამოგებიანმა ორგანიზაციებმაც შეიძლება მარცხი განიცადონ (ibid).

სამთავრობო და მოხალისეობრივი სექტორების თანამშრომლობას, ბუნებრივია, მკვლევრები სწავლობენ სამთავრობო სექტორის გადმოსახედიდანაც, რამდენად უწყობს სამთავრობო სექტორი ხელს ადგილობრივ თუ ეროვნულ დონეზე სამოქალაქო ჯგუფების ჩართულობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში. მონაწილეობითი დემოკრატიის მსგავსად, კიდევ ერთი მიდგომა, თემის მმართველობა, დემოკრატიული ტრადიციის მქონე ქვეყნებში, ადგილობრივი მთავრობის წიაღში ჩამოყალიბებული მიდგომაა, რომელიც ადგილობრივ თემებში ძალაუფლების გადანაწილებაზე, პოლიტიკის შემუშავების პროცესში ადგილობრივი თემის ჩართულობასა და „ქვემოდან ზემოთ“ მიდგომაზე ამახვილებდა ყურადღებას (Edwards, 2001; Ross & Osborne, 1999). მოდელის მიხედვით, ადგილობრივ ხელისუფლებას, ხედვებიდან გამომდინარე, მოხალისეობრივ

ორგანიზაციებთან სამი სახის ურთიერთობის წარმოება შეუძლია: (1) ტრადიციულის, სადაც ასეთი ორგანიზაციების ღირებულება სათანადოდ არ არის გააზრებული და სადაც მათი როლი სერვისების მიწოდებაში საკმაოდ უმნიშვნელოა, (2) ინსტრუმენტულის, სადაც სამოქალაქო ორგანიზაციები აღიქმება, ძირითადად, როგორც სერვისის მიმწოდებელი, (3) მონაწილეობით დემოკრატიულის, სადაც ორგანიზაციები დანახულია არა მხოლოდ როგორც სერვისის მიმწოდებელი, არამედ გააზრებულია მისი პოტენციალი თემის განვითარებასა და თემის ჩართულობის უზრუნველყოფაში. პროცესის მართვის თვალსაზრისით, მოდელი გვთავაზობს შემდგომ მიდგომას: (1) იერარქიულს, სადაც ნაწილობრივი და პირამიდის პრინციპით დაგეგმარების მიდგომა მუშაობს, (2) საბაზროს, სადაც კონკურენცია და ფასების რეგულირების მექანიზმი განსაზღვრავს ურთიერთობას, და (3) კლანურს, სადაც ურთიერთდამოკიდებულება და ნდობა წარმართავს ურთიერთობას (Ross & Osborne, 1999).

მოდელი ურთიერთობისა და პროცესის მართვის სხვადასხვა კომბინაციას გვთავაზობს, საიდანაც სამი შეიძლება იყოს ურთიერთშეთავსებადი (Ross & Osborne, 1999): (1) პატერნალისტური, სადაც ადგილობრივი ხელისუფლება გასცემს გრანტებს იერარქიული დაგეგმვის სისტემით, მოხალისეობრივ სექტორს კი დაგეგმარებასა და ადგილობრივი პოლიტიკის იმპლემენტაციაში მცირე როლი აქვს, (2) სერვისის მართვის ურთიერთობა, სადაც მოხალისეობრივი სექტორი სერვისის მიმწოდებლის ფუნქციას იძენს კონკურსის ან მოლაპარაკების საფუძველზე, და ურთიერთობას ბაზარი არეგულირებს, (3) სათემო მმართველობა, სადაც ადგილობრივი ხელისუფლება მოხალისეობრივ სექტორს დემოკრატიული განვითარებისა და მონაწილეობის მნიშვნელოვან წყაროდ მიიჩნევს და სადაც ურთიერთობას კონტაქტები და ნდობა განსაზღვრავს. ეს უკანასკნელი ხსენებული მიდგომის ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევად მიიჩნევა, ვინაიდან მხარეების მიდგომებისა და ღირებულებების გააზრება და შეთანხმების მიღწევა, ისევე, როგორც ნდობის დამყარება, ხშირად გრძელი და მტკივნეული პროცესია (Edwards, 2001).

შეერთებული შტატების გამოცდილების გარშემო მრავალრიცხოვანი ლიტერატურის მიმოხილვაზე დაყრდნობით, სმიტი (Smith, 1997a) გვთავაზობს სათემო ასოციაციების, „დროებით/არასრულ“ თეორიას, რომელიც განმარტავს ასეთი ასოციაციების მნიშვნელობას ინდივიდუალურ და საზოგადოებრივ დონეზე, მათ ძირითად მახასიათებლებსა და მუშაობის პრინციპებს. სათემო, ე.წ. გრასრუთ ასოციაციები განმარტებულია, როგორც ადგილობრივ დონეზე არსებული, სრულიად მოხალისეობრივი არაკომერციული ერთეულები, და მოიცავს როგორც თემის განვითარებაზე ორიენტირებულ ჯგუფებს, ისე წიგნის მკითხველთა, ანონიმურ ალკოჰოლიკთა თუ სხვა, მოხალისეობის პრინციპით მომუშავე ნებისმიერი სახის დაჯგუფებას. სმიტი განსაზღვრავს ასეთი ასოციაციების მახასიათებლებსა და მათი საქმიანობის შესაძლო შედეგებს: (1) ასოციაციების წევრები წარმოადგენენ საზოგადოებაში დომინანტური სტატუსის მქონე ინდივიდებს, უფრო შეძლებულ, უფრო განათლებულ ჯგუფებს, რომელთა აქტიურობა გამოწვეულია ან სამეზობლოს მიმართ მიჯაჭვულობით, სარგებლის ძებნით, ან საერთო პრობლემებითა და ინტერესებით; (2) ასოციაციების საქმიანობაზე გავლენას ახდენს გარემო და ღრობითი ფაქტორები – დაჯგუფებები ჩნდება ძირითადად მოდერნიზებულ ერთეულებში, სადაც კომუნიკაციისა და ტრანსპორტირების საშუალებებია, სოციო-ეკონომიკური მდგომარეობა შედარებით ხელსაყრელია, მოსახლეობა დიდია და მჭიდროდ დასახლებული, მთავრობა კი – ნაკლებრეპრესიული;

(3) ასოციაციები ძალიან მოქნილია იმ თვალსაზრისით, რომ შესაძლოა უზრუნველყონ ნებისმიერი საჭიროება, თუმცა არ არიან სიცოცხლისუნარიანი და ადვილად იშლებიან; (4) თვითდახმარების ჯგუფები პოზიტიურ გავლენას ახდენენ წევრების რწმენებზე, დამოკიდებულებებზე, ემოციებზე, შესაძლებლობებსა და ქცევაზე, ურთიერთდახმარება წარმოშობს სოლიდარობას, რაც, თავის მხრივ, ეფექტიან წევრობას განაპირობებს და საზოგადოების წევრებს შორის მდგრადი კავშირების განვითარებასაც უწყობს ხელს; (5) ლიდერობა მსგავს ასოციაციებში ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან არაეფექტიან ლიდერს ადვილად შეუძლია ასოციაციის დაშლამდე მიყვანა; (6) ასოციაციების არსებობა ნაკლებად არის დამოკიდებული ფინანსურ რესურსზე, წევრები შეკრებისთვის ერთმანეთის სახლებს ან საჯაროდ ხელმისაწვდომ სივრცეებს იყენებენ, და მათი ძირითადი კოზირი წევრების ერთგულებაა; (7) წევრები დემოკრატიას სწავლობენ მონაწილეობის საფუძველზე, რადგან ხშირად უწევთ საჯარო საკითხების გადაწყვეტაში ჩართვა, როდესაც ეს მათ არსებობას ან გარკვეულ მიზნებს უკავშირდება და, შესაბამისად, ხელს უწყობენ სოციო-პოლიტიკურ აქტივიზმსა და მონაწილეობით დემოკრატიას იმ ტერიტორიაზე, სადაც ფუნქციონირებენ; (8) ბევრი ასოციაცია ხელს უწყობს წევრების ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას, რასაც არა მარტო წევრებისთვის მოაქვს სარგებელი, არამედ ხელს უწყობს ეკონომიკურ კეთილდღეობას მთლიანად საზოგადოებაში.

მიუხედავად იმისა, რომ თეორიები ნაკლებად არის მორგებული არაფორმალური სათემო ორგანიზაციების სპეციფიკას, მოხალისეობრივ ასოციაციებსა და სოციალურ მოძრაობებს სამოქალაქო საზოგადოების ყველაზე მნიშვნელოვან ფორმებად მიიჩნევენ სოციო-ეკონომიკური თეორიის მინიმალისტური მიდგომა, რადგან ეს ფორმები ყველაზე ნაკლებად არის ბაზარზე ორიენტირებული და ყველაზე ნაკლებიერარქიულია (Muller, 2006). ეს მიდგომა მიჯნავს სამოქალაქო საზოგადოებას პოლიტიკისა და ეკონომიკისგან, და წარმოადგენს მას სოციალური სოლიდარობის დამოუკიდებელ სფეროდ, რომელიც ხელს უწყობს კოლექტიური იდენტობის აღმოჩენას სხვაგვარად ერთმანეთისგან მოწყვეტილ ინდივიდებს შორის, წარმოადგენს თავდაცვის მექანიზმს სახელმწიფოსა და ბაზრის, ისევე, როგორც სხვა სოციალური სფეროების კომბინირებული ჩაგვრის წინააღმდეგ (ibid.). სათემო ორგანიზაციები მიიჩნევა სამოქალაქო მონაწილეობის ქვაკუთხედადაც, რადგან მსგავსი ჯგუფები ხელს უწყობენ მოქალაქეთა პოლიტიკურ გაძლიერებას და მათ ეფექტიან მონაწილეობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში, ამ ჯგუფების საშუალებით აქედნებენ მოქალაქეები საკუთარ პრიორიტეტებს მთავრობასთან (Fisher, 1993; Smith, 1997a).

განვითარების გადმოსახედიდან, იმ დაშვების საფუძველზე, რომ მთავრობები დამოუკიდებლად ვერ შეძლებენ მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევას, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა, წარმოადგენდნენ ყველაზე მოწყვლადი და მარგინალიზებული მოქალაქეების ხმას, უზრუნველყონ საზოგადოების ინფორმირებულობა და ჩართვა ადვოკატირების პროცესში, ითამაშონ ხელისუფლების ანგარიშვალდებულების მაკონტროლებელი როლი, შეასრულონ სერვისის მიმწოდებლის როლი. თუმცა, განვითარებად კონტექსტში, ამ როლის შესრულებაში სამოქალაქო საზოგადოებას ხშირად საერთაშორისო დონორები ეხმარებიან, რაც მდგრადობას უშლის ხელს, ამიტომ სამოქალაქო სექტორმა სახელმწიფო უნდა აქციოს ადგილობრივი სათემო საქმიანობის განუყრელ ნაწილად, და არა პირიქით, შექმნას კეთილდღეობის ალტერნატიული სისტემა სახელმწიფოს გარეთ (ACSC, 2016; Mohan & Stokke,

2000). სამოქალაქო საზოგადოების ჯგუფების დილემა, დარეგისტრირდნენ ფორმალურად მეტი ფინანსური რესურსის მობილიზების მიზნით, ქმნის ჰეგემონიური ურთიერთობების კვლავწარმოების საფრთხეს. ჰეგემონიები გავლენას ახდენს იმაზე, თუ როგორ აღწევენ ორგანიზაციები ლეგიტიმაციას თავიანთ საარსებო გარემოში სხვადასხვა დონეზე. ფორმალური ლეგიტიმაცია სახელმწიფოს წინაშე მიღწეულია რეგისტრაციის გზით. ბენეფიციარები, რომლებიც ხშირად თავად არიან წევრები, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ლეგიტიმაციის მნიშვნელოვანი წყაროა. საერთაშორისო დაფინანსებაზე წვდომა ლეგიტიმაციის კიდევ ერთი წყაროა, რომელიც გულისხმობს ჰეგემონიურ პრაქტიკასა და ლექსიკაზე ავტორიტეტულ თანხმობას. ასეთი სახის ლეგიტიმაციამ, რომელიც ჰეგემონიურ ინსტიტუციონალიზებულ ფორმებზე თანხმობას გულისხმობს, შესაძლოა სამოქალაქო ორგანიზაციები დონორების კონცეპტუალურ „მიბაძვამდე“ მიიყვანოს (Kontinen & Millstein, 2017; Lohmann, 1992).

დაბოლოს, ვინაიდან სამოქალაქო ჯგუფების, სათემო მობილიზებისა და პოლიტიკური და სამოქალაქო მონაწილეობის ფორმები განსხვავდება სხვადასხვა ტრადიციისა და კულტურის მქონე საზოგადოებებში (Brower, 2011; Edwards, 2011), ხოლო განვითარების პოლიტიკაში მისი როლი კომპლექსურია, ეს პროცესები კონტექსტუალიზაციას საჭიროებს და მისი შესწავლა რელუქციონიზმის თავიდან აცილების გარეშე შეუძლებელია (Kontinen & Millstein, 2017; Mercer, 2002; Muller, 2006). ხოლო სამოქალაქო საზოგადოების ემპირიული გამოვლენების შესახებ ინფორმაციის ნაკლებობა აფერხებს სამოქალაქო საზოგადოებაზე სამეცნიერო ცოდნის განვითარებას და აკნინებს მის როლს საზოგადოების განვითარებაში (Heinrich, 2004). ეს დაშვებები კი კიდევ ერთხელ წამოჭრის ადგილობრივ კონტექსტში თემის განვითარებაში სათემო ორგანიზაციების როლის შესწავლის საჭიროებას.

კვლევის დიზაინი

საკვლევი შეთხვევის შერჩევა

წინამდებარე ნაშრომი ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში თემის ჩართულობას სწავლობს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების საკითხებზე მომუშავე არაფორმალური ადგილობრივი სათემო ჯგუფების მაგალითზე. იმის გათვალისწინებით, რომ გადაწყვეტილების მიღების პროცესში სამოქალაქო ჩართულობა შესაძლებელია დიდწილად იყოს დამოკიდებული ადვოკატირებულ საკითხებზე, კვლევა მოიცავს მხოლოდ მსგავს საკითხებზე მომუშავე ჯგუფებს, რომლებიც შემდეგი მიზეზების გამო შეირჩა: (1) ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში ამ ჯგუფების მონაწილეობის შესწავლის საფუძველზე შესაძლებელია თემის ჩართულობის მექანიზმებზე, ადგილობრივ ხელისუფლებასა და სამოქალაქო ჯგუფებს შორის ურთიერთობის სპეციფიკაზე დაკვირვება და მათი ანალიზი; (2) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები ერთ-ერთი ყველაზე მოწყვლადი ჯგუფია საქართველოში და თავად ისინი, ან მათი მშობლები, ძირითადად დედები, ხშირად თავად ზრუნავენ თემის მობილიზებაზე, ქმნიან საინიციატივო ჯგუფებს ან სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის მნიშვნელოვანი საკითხების ადვოკატირების მიზნით; (3) აღნიშნული საკითხები ერთ-ერთი ყველაზე დეცენტრალიზებულია და, შესაბამისად, ადგილობრივ ხელისუფლებასა და სამოქალაქო ჯგუფებს შორის შეხების წერტილები, ბოლო წლებში, კიდევ უფრო გაიზარდა. გარდა ამისა, ადგილობრივი ხელისუფლება პასუხისმგებელია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს ფუნქციონირებაზე, ხოლო როგორც ადგილობრივი, ისე ცენტრალური ხელისუფლება ვალდებულია ჩართოს საზოგადოება გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

ოპერაციონალიზაცია

წინამდებარე სექციის მიზანია კვლევის ძირითადი ცნებების – სამოქალაქო საზოგადოების, ფორმალური და არაფორმალური სამოქალაქო ჯგუფების, სათემო („გრასრუთ“) ჯგუფების, თემის მონაწილეობისა და ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართულობის – განსაზღვრა და ოპერაციონალიზაცია:

- ხშირად, სამოქალაქო საზოგადოება ძალიან ფართოდ განიმარტება და მოიცავს ისეთ სივრცეებს, როგორცაა ოჯახი, აკადემიური ინსტიტუტები და სხვა. აღნიშნული კვლევა სამოქალაქო საზოგადოების შედარებით ზომიერ განმარტებას იყენებს, რაც გულისხმობს „სივრცეს ოჯახს, სახელმწიფოსა და ბაზარს მიღმა, რომელიც იქმნება ინდივიდუალური ან კოლექტიური ქმედების შედეგად, ორგანიზაციებისა და ინსტიტუციების მიერ, საერთო ინტერესების გასატარებლად. ამაში იგულისხმება როგორც სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების, ისე ნაკლებფორ-

მალიზებული ჯგუფებისა თუ ინდივიდების ქმედებები“ (CIVICUS, 2012). კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, განმარტება კიდევ უფრო ვიწროვდება და სამოქალაქო საზოგადოებაში მხოლოდ არამოგებიანი, არასამთავრობო, არაპოლიტიკური ჯგუფები მოიაზრება.

- არაფორმალურ სამოქალაქო ჯგუფებში მოიაზრება არაინსტიტუციონალიზებული ჯგუფები, რომლებიც საერთო მიზნის გარშემო საზოგადოების მოხალისეობრივად მობილიზებული წევრებისგან შედგება. კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, კვლევის საგანია არაფორმალური სათემო საინიციატივო ჯგუფები, რომლებიც მუნიციპალური ხელისუფლების დონეზე, გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობენ ან ცდილობენ მონაწილეობას თემის ინტერესების გასატარებლად. ესენია ორი ან მეტი ადამიანისგან შემდგარი ჯგუფები, რომლებიც კონკრეტული მიზნისა თუ მიზნების მისაღწევად იქმნება და, როგორც წესი, მასშტაბებით, რეპერტუარითა თუ მიზნებით განსხვავდება სოციალური მოძრაობებისგან.
- ფორმალურ სამოქალაქო საზოგადოებაში იგულისხმება ინსტიტუციონალიზებული, რეგისტრირებული ორგანიზაციები, რომლებიც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ფუნქციონირებენ დედაქალაქსა ან მუნიციპალიტეტებში.
- შშპ პირების საკითხებზე მომუშავე ჯგუფებში იგულისხმება სამოქალაქო ჯგუფები, რომელთა ძირითადი, ან ერთ-ერთი ძირითადი, სამუშაო მიმართულება/მანდატი/მისია არის ნებისმიერი სპექტრის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხები, როგორცაა შშპ პირების უფლებრივი მდგომარეობა, ცნობიერების ამაღლება, სოციალური სერვისები, ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, ინკლუზიური განათლება, დასაქმება, სამოქალაქო მონაწილეობა და სხვა.
- სათემო ჩართულობაში იგულისხმება თემის წევრების მცდელობები, გააქტიურონ საკუთარი საჭიროებები და გავლენა მოახდინონ გადაწყვეტილების მიღების პროცესზე ადგილობრივ (და არა ეროვნულ) დონეზე უკუკავშირის, მონაწილეობითი ბიუჯეტირების, საჯარო კონსულტაციებისა და პეტიციების და სხვა მექანიზმების საშუალებით. მერიისა თუ საკრებულოს დონეზე ამაში იგულისხმება როგორც ფორმალური საკონსულტაციო და მიმართვის მექანიზმების გამოყენება, ისე არაფორმალურად დაკავშირება ხელისუფლების წარმომადგენლებთან წერილობით თუ პირისპირ კომუნიკაციის გზით.

მონაცემთა შეგროვება და ანალიზი

წინამდებარე კვლევისთვის მონაცემები თვისებრივი მეთოდების მეშვეობით შეგროვდა და გაანალიზდა.

კვლევის მონაწილეების/რესპონდენტების შერჩევის მიზნით, კვლევაში გამოყენებულია თოვლის გუნდის მეთოდი, რაც გულისხმობს, რომ კონკრეტული ჯგუფის წარმომადგენლები მკვლევარს აკავშირებენ ამ ჯგუფის სხვა წევრებთან. ეს მეთოდი განსაკუთრებით გამოსადეგია რთულად ხელმისაწვდომ ან ჩაკეტილ ჯგუფებზე წვდომის მოსაპოვებლად (წულაძე, 2020). გამომდინარე იქიდან, რომ

არაფორმალური ჯგუფები რეგისტრირებულები არ არიან და, ამდენად, მათი მოძიება და მათთან დაკავშირება რთულია, კვლევის სამიზნე ჯგუფი შეიძლება ჩაითვალოს რთულად ხელმისაწვდომ ჯგუფად, რომელთან დასაკავშირებლადაც თოვლის გუნდის მეთოდის გამოყენება რელევანტურია.

თოვლის გუნდის პრინციპი გულისხმობს რამდენიმე ძირითადი ნაბიჯის გავლას: (1) რესპონდენტების მოძიება და მათი ქსელის თუ „ჯაჭვის“ აგების დაწყება; (2) პოტენციური რესპონდენტების რელევანტურობაში დარწმუნება; (3) რესპონდენტების „კვლევის ასისტენტებად“ ჩართვა; (4) თითოეული ტიპის „ჯაჭვისა“ და მასში შემთხვევების რაოდენობის გაკონტროლება (წულაძე, 2020).

ამ საფეხურების შესაბამისად, შერჩევის ეტაპზე საჭირო გახდა შემდეგი ნაბიჯების გავლა: (1) განისაზღვრა ორგანიზაციები და ინდივიდები, რომლებსაც შესაძლოა ჰქონოდათ არაფორმალურ სათემო საინიციატივო ჯგუფებთან ურთიერთობის გამოცდილება ან ინფორმაცია ასეთ ჯგუფებზე, და მათგან ინფორმაციის გამოთხოვით დაიწყო რესპონდენტების ძიების, „ჯაჭვის აგების“ პროცესი, სადაც თითოეულ „ჯაჭვს“ თითოეულ მუნიციპალიტეტში დასახელებული პოტენციური რესპონდენტები წარმოადგენდნენ. ამ გზით ნაწილობრივ შესაძლებელი გახდა მეთოდის ძირითადი ნაკლის გადალახვა, რაც გულისხმობს, რომ ამ პრინციპით მოპოვებულ კონტაქტებს შესაძლოა მსგავსი მახასიათებლები ჰქონდეთ (წულაძე, 2020), ვინაიდან საკვლევი პირები სხვადასხვა მუნიციპალიტეტში მომუშავე ჯგუფებს წარმოადგენენ და საწყის რესპონდენტებთან დაკავშირება მოხდა სხვადასხვა, ერთმანეთისგან დამოუკიდებელი ორგანიზაციისა თუ ინდივიდის მეშვეობით; (2) პოტენციური რესპონდენტების რელევანტურობაში დარწმუნების მიზნით განისაზღვრა, წარმოადგენენ ან წარსულში წარმოადგენდნენ თუ არა რესპონდენტები არაფორმალურ საინიციატივო ჯგუფებს, რომლებიც ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღებაზე გავლენას ისახავენ/ისახავდნენ მიზნად, ან ფორმალურ სამოქალაქო ორგანიზაციებს, რომლებიც ოფიციალურად დარეგისტრირებამდე საინიციატივო ჯგუფებს წარმოადგენდნენ; (3) რესპონდენტებმა, შეძლებისდაგვარად, დაასახელეს სხვა შესაძლო რესპონდენტები კვლევისთვის; (4) რამდენიმე ინტერვიუს მოგროვების შემდეგ, რესპონდენტები შეირჩინენ იმის საფუძველზე, თუ რამდენად მრავალფეროვან ლოკაციებს წარმოადგენდნენ, ხოლო კვლევის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუების რაოდენობა განაპირობა იმან, თუ რამდენად მრავალფეროვან ინფორმაციას იძლეოდა ყოველი შემდეგი ინტერვიუ და რამდენად მეორედობდა ინფორმაცია, ამატებდა თუ არა ყოველი მომდევნო ინტერვიუ ახალ დეტალებს/ინფორმაციას უკვე არსებულ მონაცემებს.

საერთო ჯამში, კვლევის ფარგლებში გამოიკითხა 12 რესპონდენტი, რომლებიც თბილისსა და საქართველოს 7 რეგიონის 11 მუნიციპალიტეტში ამჟამად თუ წარსულში (დაახლოებით ბოლო 7 წლის განმავლობაში) მოქმედ სხვადასხვა საინიციატივო ჯგუფს წარმოადგენენ. რესპონდენტთაგან ხუთი მოქმედი საინიციატივო ჯგუფის წევრია, ჯგუფში მუშაობის სამიდან შვიდ წლამდე გამოცდილებით. რამდენიმე მათგანი, საინიციატივო ჯგუფის წევრობის პარალელურად, არის რეგისტრირებული ორგანიზაციის წევრიც. ხოლო შვიდი რესპონდენტი არის რეგისტრირებული ორგანიზაციის წარმომადგენელი, რომელიც საინიციატივო ჯგუფის წევრებმა დააფუძნეს, საინიციატივო ჯგუფში მუშაობის ერთიდან ოთხ წლამდე, და ორგანიზაციაში მუშაობის სამიდან თორმეტ წლამდე გამოცდილებით.

მონაცემთა შესაგროვებლად კვლევაში გამოყენებულია ნახევრად სტრუქ-

ტურირებული, ინდივიდუალური სიღრმისეული ინტერვიუს მეთოდი, რომლის მეშვეობით მოგროვებული მონაცემებიც გაანალიზდა ინტერვიუს კონტენტ-ანალიზის ტექნიკის გამოყენებით, თემატური კოდირების მეთოდით. პირველ ინტერვიუს სატესტო ფუნქცია ჰქონდა, რომლის შემდეგაც, საჭიროებისამებრ, გარკვეული ცვლილებები შევიდა კვლევის ინსტრუმენტში. ინტერვიუები რესპონდენტების ინფორმირებული თანხმობის საფუძველზე ჩატარდა და საშუალოდ 40-60 წუთს გრძელდებოდა.

კვლევის სანდოობა, ვალიდობა და შეზღუდვები

კვლევის სანდოობის ძირითადი გარანტი არის გამოყენებული მეთოდებისა და ტექნიკების, შერჩევის კრიტერიუმების მაქსიმალური გამჭვირვალობა და რეპლიკაციის შესაძლებლობა, რაც გულისხმობს, რომ იმავე მეთოდებით კვლევის გამოკვლების შემთხვევაში, მკვლევარმა იგივე შედეგები უნდა მიიღოს. მართალია, ამის მიღწევა თვისებრივ კვლევაში შედარებით რთულია, კვლევის თითოეული ნაბიჯი მაქსიმალური სიზუსტით არის აღწერილი, გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად. სანდოობის მიღწევის ერთ-ერთი გზაა, ასევე, საკვლევ ფენომენში მონაწილე ყველა მხარის ჩართვა კვლევის პროცესში. შესაბამისად, კვლევის ერთ-ერთ შეზღუდვად შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ მცირე მასშტაბიდან გამომდინარე, მხოლოდ სათემო ჯგუფების (მაგრამ არა ადგილობრივი ხელისუფლების, თემის თუ სხვათა) წარმომადგენლების პერსპექტივაა ასახული. გარდა ამისა, მიუხედავად იმისა, რომ გეოგრაფიულად კვლევამ საკმაოდ ფართო არეალი მოიცვა, მისი შედეგები ეყრდნობა მხოლოდ ერთ სპეციფიკურ თემზე მომუშავე ჯგუფების გამოცდილებას.

როგორც შინაგანი (კაუზალური კავშირების ჩვენება), ისე გარეგანი (განზოგადების შესაძლებლობა) ვალიდობის მიღწევა ისევ და ისევ, საკმაოდ რთულია თვისებრივ კვლევაში. მიუხედავად ამისა, ვინაიდან კვლევა ცდილობს გამოყენებული საზომების მაქსიმალური სიზუსტით ოპერაციონალიზაციას, და მიზეზებსა და შედეგებს შორის შესაძლო კავშირებზე მსჯელობს თეორიასა თუ წინარე კვლევების შედეგებზე დაყრდნობით, ხოლო განზოგადების მასშტაბებს ზედმიწევნით აღწერს, ვალიდობა მიღწეულია იმდენად, რამდენადაც ეს შესაძლებელია თვისებრივ კვლევაში და ისეთი ფენომენის შესწავლისას, რომელთან დაკავშირებითაც წინარე ცოდნა მწირია.

რაც შეეხება ეთიკას, როგორც ზემოთ აღინიშნა, მონაწილეები ჩაერთვნენ კვლევის პროცესში ინფორმირებული თანხმობის საფუძველზე, მათი კონფიდენციალობა, ისევე, როგორც გაზიარებული პერსონალური ინფორმაცია და მონაცემები, სრულად დაცულია. გარდა ამისა, კვლევა არ გულისხმობდა რესპონდენტებისაგან რაიმე სახის პირადი ან სენსიტიური ინფორმაციის გაზიარებას, და ასეთი ინფორმაციის გაზიარების შემთხვევაშიც კი, ისეთი მონაცემები, რომელიც შეიძლება რესპონდენტის იდენტიფიცირების საშუალებას იძლეოდეს, არ არის გასაჯაროებული.

კვლევის მიზნები

წინამდებარე სექცია წარმოადგენს კვლევის მიზნებს და აანალიზებს საქართველოში საინიციატივო ჯგუფების მახასიათებლებსა და მათი აღმოცენების მიზეზებს, თუმცა თუ ადგილობრივ ხელისუფლებასთან ურთიერთობას წინარე გამოცდილებასთან, საქართველოს კონტექსტში არსებულ დაკვირვებებსა თუ თეორიულ მიდგომებთან მიმართებით.

საინიციატივო ჯგუფების მახასიათებლები და მათი აღმოცენების მიზეზები

შშმ პირების საკითხებზე მომუშავე საინიციატივო ჯგუფებს, ძირითადად, თავად შშმ პირები ან მათი მშობლები, მეტწილად დედები, აყალიბებენ. კვლევაში მონაწილე საინიციატივო ჯგუფების წევრებს ჯგუფში გაერთიანებამდე ან პირადი ნაცნობობა აკავშირებდათ, ან შშმ პირების საკითხებთან დაკავშირებულ ღონისძიებებზე, საჯარო და/ან სხვადასხვა საინფორმაციო შეხვედრაზე, სხვადასხვა ორგანიზაციის მიერ ორგანიზებულ აქტივობებზე გაიცნეს ერთმანეთი. არის შემთხვევებიც, როდესაც საინიციატივო ჯგუფის წევრები სხვადასხვა ორგანიზაციას წარმოადგენდნენ და მათი საქმიანობის მიღმა, დამატებით სხვა მიზნების განსახორციელებლად გაერთიანდნენ საინიციატივო ჯგუფში, ვინაიდან ფორმალური სტრუქტურა და შეზღუდული მანდატი არ აძლევდა მათ გარკვეულ ჯგუფებთან, გარკვეულ საკითხებზე მუშაობის საშუალებას. ამ თვალსაზრისით, კვლევაში მონაწილე ჯგუფების გამოცდილება ემთხვევა თეორიების მიმოხილვისას ნახსენებ დაშვებას, რომ მოხალისეობრივი ჯგუფები მეტად მოქნილნი არიან, უზრუნველყოფენ ნებისმიერი სახის საჭიროება (Smith, 1997a).

სხვადასხვა საჯარო აქტივობებიდან გავიცანი ეს ადამიანები, საჯარო შეხვედრებზე, ფოკუსჯგუფებზე ან, ვთქვათ, რაიმე ტიპის შეხვედრაზე ვიყავით ხოლმე და ცოტა უფრო აქტიური ტიპები ვინც ვიყავით, ისინი დაუკავშირდით ერთმანეთს. გვაკავშირებდა ჩვენ ერთი პრობლემური საკითხი, საერთო საკითხი, ეს იყო შშმ პირების საკითხები, თითქმის ყველა იყო მშობელი შშმ პირის... ესენი გაწევრიანდით ამ მოხალისეობრივ ჯგუფში და დავიწყეთ აქტიური თანამშრომლობა (ქალი, კახეთი, საინიციატივო ჯგუფის წევრი 2015 წლიდან დღემდე).

საინიციატივო ჯგუფის წევრების რაოდენობა, ძირითადად, სამიდან ექვსამდე მერყეობს, თუმცა არის შემთხვევებიც, როდესაც ჯგუფს 7-15 წევრი ჰყავს. როგორც წესი, ჯგუფის ძირითადი ბირთვი არ იცვლება და წევრთა რაოდენობა არ იზრდება, თუმცა თემის სხვა წევრები მოხალისეობრივად უერთდებიან ჯგუფების საქმიანობას სხვადასხვა კონკრეტული მიზნის მისაღწევად თუ გარკვეული საქმიანობის განსახორციელებლად, და ხშირად, გვერდით უდგანან ჯგუფს, როდესაც საჭიროა „მათი ხმის გაჟღერება“.

როგორც წესი, საინიციატივო ჯგუფები ჩამოყალიბებიდან მალევე, დაახლოებით ერთიდან ოთხი წელიწადის შუალედში, აყალიბებენ ფორმალურ ორგანიზაციებს. ზოგიერთ შემთხვევაში კი, საინიციატივო ჯგუფის ცალკეული წევრები არეგისტრირებენ ფორმალურ ორგანიზაციებს, მაგრამ, ამის პარალელურად,

აგრძელებენ საინიციატივო ჯგუფში საქმიანობას. არის შემთხვევები, როდესაც ერთი ჯგუფის რამდენიმე წევრი ცალ-ცალკე აყალიბებს ორგანიზაციას სხვადასხვა მუნიციპალიტეტში ან სხვადასხვა მიმართულებით მუშაობის მიზნით, თუმცა განაგრძობს ჯგუფთან ერთად არაფორმალურ საქმიანობასაც.

ჩამოყალიბების განმაპირობებელი, ძირითადად, თემში/მუნიციპალიტეტში სერვისების ნაკლებობაა, როგორც ადგილობრივი ხელისუფლების, ისე სამოქალაქო ორგანიზაციების მხრიდან. საინიციატივო ჯგუფების ჩამოყალიბების მომენტი სთვის, თემში ან საერთოდ არ არსებობდა შშმ პირების საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციები, ან იყვნენ ორგანიზაციები, რომლებიც ძალიან ვიწრო პროფილით მუშაობდნენ, გარკვეული შეზღუდვის მქონე პირების და გარკვეული ასაკობრივი კატეგორიის შშმ პირების საჭიროებებზე კი არავინ სწევდა ადვოკატირებას. მსგავსად, ჯგუფის ჩამოყალიბების პერიოდისათვის ადგილობრივი ხელისუფლება თემს სთავაზობდა ან მხოლოდ ძალიან შეზღუდულ სერვისებს, რომელიც მხოლოდ გარკვეულ ასაკობრივ ჯგუფზე ან რომელიმე კონკრეტულ შეზღუდვაზე იყო გათვლილი, ან არსებული სერვისები და პროგრამები არ იყო მორგებული შშმ პირების საჭიროებებს, არ შეესაბამებოდა კანონმდებლობით გათვალისწინებულ ნორმებს, ან არ ფუნქციონირებდა სათანადოდ. გარკვეულწილად, ეს მიგნება თანხვედრაშია ზემოთ აღწერილ სინქრონული მარცხის თეორიასთან (O'Donovan, 2019; Steinberg, 2006), რომლის მიხედვითაც, დემოკრატიულ საზოგადოებაში არამოგებიანი ორგანიზაციები აღმოცენდება გარკვეულ პროდუქტსა თუ მომსახურებაზე მოთხოვნის შედეგად, რომელსაც ბაზარი ან ხელისუფლება შესაბამისად ვერ პასუხობს. რამდენიმე სექტორი კი შეიძლება ერთდროულად განიცდიდეს მარცხს მოქალაქეთა გარკვეული ჯგუფებისთვის სერვისის მიწოდების თვალსაზრისით, რაც განაპირობებს არაფორმალური ჯგუფების გამოჩენას დეფიციტური სერვისების მისაწოდებლად საზოგადოების იმ სეგმენტისთვის, რომელიც ყურადღების მიღმა რჩება, ვინაიდან მათი მოთხოვნები ზედმეტად დიფუზიური ან მარგინალურია.

ზოგიერთ შემთხვევაში, ჯგუფის წევრები დაეყრდნენ სხვა თემებში (სოფლებში) არსებული ჯგუფების გამოცდილებას და, ვინაიდან იცოდნენ მსგავსი ჯგუფების არსებობის შესახებ, თავადაც გადაწყვიტეს საინიციატივო ჯგუფის შექმნა. კვლევის მონაწილეები იმასაც აღნიშნავენ, რომ ჯგუფში გაწევრიანებამდე ინდივიდუალურად აქტიურობდნენ შშმ პირთა საკითხების ადვოკატირების და შშმ პირების დახმარების მიზნით, თემი მათ იცნობდა, როგორც „აქტიურ მშობლებს“ და ხშირად მიმართავდა დახმარების მიზნით, რაც ერთ-ერთი მამოტივირებელი ფაქტორი იყო და „გააჩინა პასუხისმგებლობა“ მეტი აქტიურობისთვის. იშვიათად, თუმცა სახელდება შემთხვევაც, როდესაც საინიციატივო ჯგუფის შექმნისკენ წევრებს უბიძგა ადგილობრივ ხელისუფლებაში არსებულმა პროგრამამ, რომელიც მოქალაქეთა ჯგუფების იღებების ხელშეწყობას ისახავდა მიზნად.

[არ არსებობდა] აბსოლუტურად არაფერი... შეზღუდული შესაძლებლობების პირები თუ არსებობდნენ, მე ვფიქრობ, არც კი თვლიდნენ, არც აინტერესებდათ, ეს გვაინტერესებდა მხოლოდ იმ მშობლებს, რომლებიც ამ მდგომარეობაში ვიყავით და ძალიან გვაწუხებდა ეს პრობლემა (ქალი, კახეთი, საინიციატივო ჯგუფის წევრი 2018 წლიდან, ორგანიზაციის წევრი 2019 წლიდან).

კვლევის მონაწილეები აღნიშნავენ, რომ, როგორც წესი, საინიციატივო ჯგუ-

ფებს მკაცრად განსაზღვრული ორგანიზაციული სტრუქტურა არ აქვს და პასუხისმგებლობები ნაწილდება თავისთავად, საჭიროებიდან და წევრების შესაძლებლობებიდან გამომდინარე. ამ პროცესს ხელს უწყობს ნდობის ფაქტორი წევრებს შორის და ჯგუფის საქმიანობის წარმატებასა თუ წარუმატებლობაზე ერთობლივი პასუხისმგებლობის შეგრძნება. ეს მიგნება იმეორებს ლიტერატურაში არსებულ დაკვირვებას სათემო ჯგუფების სტრუქტურასთან დაკავშირებით, რომელიც მიიჩნევა გაერთიანების ერთ-ერთ ყველაზე დემოკრატიულ და არაიერარქიულ ფორმად (კონროითერი, 2011).

გადანაწილებული საქმიანობა არ გვქონდა, უბრალოდ ვიცოდით ჩვენ საკითხები, რა საკითხები იყო ჩვენთვის პრიორიტეტული, როგორ უნდა გვემუშავა, ვის რა უნდა ეკეთებინა. სხვათა შორის, ეს ისე ბუნებრივად იყო, ინდივიდუალური შესაძლებლობების მიხედვით განაწილებული, ვისაც რა გამოსდიოდა კარგად, და ვისაც რა ეხერხებოდა, და ვისაც რამდენი დრო ჰქონდა, აი, ასე ვმუშაობდით ხოლმე, ანუ არ იყო აქ შენი და ჩემი საქმე, ყველას საქმე იყო ერთობლივი (ქალი, კახეთი, საინიციატივო ჯგუფის წევრი 2015 წლიდან დღემდე).

ხშირ შემთხვევაში, საინიციატივო ჯგუფების წევრები აყალიბებენ ფორმალურ ორგანიზაციებს, თუმცა არცერთ შემთხვევაში ფორმალურად რეგისტრირება არ იყო წინასწარ განსაზღვრული. საინიციატივო ჯგუფად ჩამოყალიბების პერიოდისთვის არც ის არის განსაზღვრული, თუ რამდენ ხანს იარსებებს ჯგუფი, თუმცა არის შემთხვევებიც, როდესაც რესპონდენტები აცხადებენ, რომ ჯგუფი კონკრეტული საკითხის ადვოკატირების მიზნით შეიქმნა, მაგრამ ამ ფუნქციის განხორციელების შემდეგაც არ შეწყვიტა არსებობა და განაგრძო საქმიანობა სხვა პრობლემების გადასაჭრელად. როგორც წესი, რეგისტრირების შემდეგ ჯგუფი იძენს უფრო ფორმალურ სტრუქტურას და პასუხისმგებლობები უფრო ნათლად ნაწილდება. ზოგიერთი რესპონდენტი აღნიშნავს, რომ საქმიანობის სტრუქტურირებისა და პასუხისმგებლობების გადანაწილების თვალსაზრისით, ზოგჯერ ფორმალურ ორგანიზაციაში მუშაობა უფრო მარტივია, რადგან საინიციატივო ჯგუფში შეიძლება გაჩნდეს პროტესტი რაიმე სახის საქმიანობის უსასყიდლოდ განხორციელებასთან დაკავშირებით. რესპონდენტები საუბრობენ მათთვის ცნობილ შემთხვევებზეც, როდესაც საინიციატივო ჯგუფები აყალიბებენ ორგანიზაციებს და შემდეგ მალევე იშლებიან, რადგან რთულდება ჯგუფის წევრებს შორის ეფექტიანი კომუნიკაცია. ზოგჯერ ჯგუფის წევრებს შორის აზრები იყოფა, ზოგჯერ კი პასუხისმგებლობების გადანაწილების პრობლემა ჩნდება.

ამ თვალსაზრისით, თუ რა გავლენა აქვს პიროვნულ ფაქტორებსა და მოტივაციას სათემო ორგანიზაციების ფუნქციონირებაზე, ასევე ნაკლებად არის განალიზებული ლიტერატურასა თუ არსებულ თეორიულ მიდგომებში. თეორია (Smith, 1997a) უძველეს, რომ საერთო ინტერესები, სამეზობლოსადმი მიჯაჭულობა (რაც წინამდებარე კვლევის შემთხვევაში, შეიძლება საკუთარი, შვილებისა თუ ახლობლების და მათი პრობლემებისადმი მიჯაჭულობითაც ჩანაცვლდეს) ქმნის ორგანიზების მოტივაციას, ურთიერთდახმარება წარმოშობს სოლიდარობას, ეს უკანასკნელი კი, ისეთ ფაქტორებთან ერთად, როგორიცაა ლიდერობა, რესურსები და სხვა გარეგანი თუ შინაგანი ფაქტორები, ეფექტიან და მდგრად წევრობას უზრუნველყოფს. თუმცა, წინამდებარე კვლევა აჩვენებს, რომ ორგანიზების პროცესი ამ დაშვებას ყოველთვის ვერ ამართლებს და რთული განსასაზღვრია, თუ რა დამატებითი ფაქტორები ახდენს ამაზე გავლენას, მით უმეტეს,

რომ აქ გაანალიზებული მონაცემები სუბიექტურ აღქმებს ემყარება, რომელიც შეიძლება ერთი ჯგუფის წევრებს შორისაც კი განსხვავდებოდეს.

საინიციატივო ჯგუფის წევრებისთვის, ორგანიზაციის ფორმალურად დაარსება ბევრ უპირატესობასთან ასოცირდება. ინსტიტუციონალიზაციის შედეგად ჩნდება როგორც მატერიალური, ისე არამატერიალური რესურსის მოძიების არაერთი შესაძლებლობა. მატერიალური რესურსის თვალსაზრისით, რეგისტრირებული ორგანიზაციებისთვის ფინანსური დახმარების გაცემის ბერკეტიც მეტია როგორც ადგილობრივი ხელისუფლების, ისე ღონორი ორგანიზაციების მხრიდანაც. არამატერიალური თვალსაზრისით, ჩნდება ცოდნის გაღრმავების, განვითარების შესაძლებლობები. ინსტიტუციონალიზაცია ზრდის ჯგუფის ხელვალობასაც, რადგან რეგისტრირებული ორგანიზაციები უკვე ფიქსირდება ორგანიზაციათა ბაზებში და აღვილდება კონტაქტი, ინფორმაცია უფრო ადვილად ვრცელდება, ხშირდება მოწვევები სხვადასხვა ღონისძიებასა თუ შეხვედრაზე, და სხვა. ზოგადად, აღინიშნა, რომ ფორმალური ორგანიზაციის წევრობა ერთგვარი „ტიტულია“, რომელიც მეტად იძლევა საშუალებას თემის საჭიროებების წარმოსადგენად.

...ჩვენ თვითონაც ჩავერთეთ ამ პროცესებში, ეს ათი ადამიანი და ნელ-ნელა, პატარ-პატარა ნაბიჯებით დავიწყეთ ურთიერთობა ჯერ კლინიკის ხელმძღვანელობასთან, შემდეგ უკვე მუნიციპალიტეტის მერიასთან... და დადგა იმის საჭიროება, რომ ასე პირადი მიმართებით ვერაფერს ვერ ვაღწევდით, და ამიტომ რჩევა მივიღეთ, რომ შექმნილიყო ორგანიზაცია (ქალი, თბილისი/სამეგრელო/ქვემო ქართლი, საინიციატივო ჯგუფის წევრი 2013 წლიდან, ორგანიზაციის წევრი 2016 წლიდან).

ეს „ტიტული“ ჯგუფებს ეხმარება როგორც თემთან, ისე ადგილობრივ ხელისუფლებასთან ურთიერთობაში, თუმცა ამ თვალსაზრისით კვლევის მონაწილეთა გამოცდილებები განსხვავდება და აღწერილია ქვემოთ, შესაბამის ქვეთავებში. გარკვეულწილად, ეს მიგნება თანხვედრაშია ზემოთ ნახსენებ ტენდენციასთან, რომ ხშირად სამოქალაქო საზოგადოების ჯგუფები დგებიან არჩევანის წინაშე, დარეგისტრირდნენ ფორმალურად მეტი ფინანსური რესურსის მობილიზებისა და ლეგიტიმაციის მისაღწევად, სადაც ბუნეფიცირებთან მჭიდრო ურთიერთობა და საერთაშორისო დაფინანსებაზე წვდომა უზრუნველყოფს ლეგიტიმაციას როგორც თემთან, ისე ხელისუფლებასთან ურთიერთობაში (Kontinen & Millstein, 2017). მიუხედავად იმისა, რომ კვლევაში მონაწილე არაფორმალური ჯგუფების ნაწილმა შეიცვალა ფორმა და დარეგისტრირდა ფორმალურ ორგანიზაციად, ისინი რჩებიან სათემო, „გრასრუთ“ ორგანიზაციებად, რომელთა დაარსებაც მოხდა „ქვემოდან“, თემის წევრების მიერ, თემის საჭიროებებიდან გამომდინარე, და ინარჩუნებენ მჭიდრო კავშირს თემთან, რაც უფრო დეტალურად მომდევნო ქვეთავშია გაანალიზებული. თუმცა აქ უნდა ითქვას, რომ ფორმალურად დარეგისტრირება არ ხდის სათემო ორგანიზაციებს სრულიად დამოკიდებულს ღონორებსა და მათ ღღის წესრიგზე და, როგორც ზემოთ აღინიშნა, ხანდახან ფორმალური ორგანიზაციების წევრები განაგრძობენ არაფორმალურად საქმიანობას, თუკი ფორმალური მანდატი ვერ ფარავს თემის წინაშე მდგარ გამოწვევებს.

საინიციატივო ჯგუფების ურთიერთობა თემთან

მიუხედავად იმისა, რომ კვლევაში მონაწილე საინიციატივო ჯგუფებს მჭიდრო ურთიერთობა აქვთ თემთან, და თემი ხშირად ჩართულია მათ საქმიანობაში, ჯგუფის უშუალო წევრების რაოდენობა მისი არსებობის მანძილზე იშვიათად იზრდება. ზოგიერთი საინიციატივო ჯგუფის შემთხვევაში, წევრების რაოდენობის გაზრდა არ ყოფილა მოაზრებული და/ან არ დამდგარა ამის საჭიროება, თემის წევრების მხრიდანაც იშვიათად ან საერთოდ არ არის ინიციატივა, გაწევრიანდნენ საინიციატივო ჯგუფსა თუ სამოქალაქო ორგანიზაციაში, და უფრო მჭიდროდ და აქტიურად იმუშაონ თემისთვის მნიშვნელოვან საკითხებზე. ზოგიერთ შემთხვევაში კი, ჯგუფის წევრების რაოდენობა არათუ გაიზარდა, შემცირდა კიდევ სხვადასხვა გამომწვევის გამო. წევრების წინაშე ხშირად დგება დროითი რესურსის საკითხი, ვინაიდან საინიციატივო ჯგუფის წევრები, უმთავრესად, შშმ პირების მშობლები არიან, რომელთა ძირითადი დრო შვილების ზრუნვაზე იხარჯება. ზოგიერთ შემთხვევაში, დამაბრკოლებელ ფაქტორად დასახელდა მატერიალური რესურსის ფაქტორიც, ვინაიდან თემის წევრებს, ხანდახან, უჭირთ იმის გააზრება, რატომ უნდა იმუშაონ უსასყიდლოდ, ან არ აქვთ უსასყიდლოდ მუშაობის ფუფუნება. ეს საკითხები ისევ და ისევ უკავშირდება იმ თეორიულ დაშვებებს სათემო ორგანიზების თაობაზე, რომელზეც ზემოთ არის საუბარი, და რომელიც, სხვა ფაქტორებთან ერთად, პიროვნული მახასიათებლებისა და მოტივაციის საკითხს უკავშირდება.

რა ენერგიითაც და რა ძალითაც შევიკრიბეთ, ძალიან ბევრ რამეს მივადინეთ, მაგრამ არის რაღაც პერიოდი მშობლებისთვისაც... მე ამას უფრო ვაბრალებ მშობლების ნაკლებად ჩართულობას – ზოგს სამი შვილი ჰყავს, ზოგს ოჯახში აქვს პრობლემები, ზოგს ის, ზოგს ეს... რაღაც ეტაჟზე გული გაუტყდათ... ჩამომეხსნენ, ასე რომ ვთქვით... არა იმიტომ, რომ რაიმე მუთავსებლობა გვექონდა, ოჯახური პირობების გამო, არ აქვთ დრო და საშუალება და ოჯახში ხელს არ უწყობენ სხვა წევრები... ამან ძალიან დაგვწია უკან, თორე იმ ენერგიით და იმ ძალებით ბოლომდე რომ ყველა ერთად ვყოფილიყავით, დღეს უფრო მეტს მივადინე (ქალი, კახეთი, საინიციატივო ჯგუფის წევრი 2013 წლიდან, ორგანიზაციის წევრი 2014 წლიდან).

...ვისაც ჩვენი სჯეროდა, გარშემო მეგობრებსა და მუშობლებს, ვუხსნიდით, რას ნიშნავდა ეს საქმიანობა და დაინტერესდნენ და სხვადასხვა აქტივობაში ერთვებოდნენ ხოლმე... მაგრამ როგორც ჯგუფის წევრები, არა... თქვენ ხომ იცით, რომ საინიციატივო ჯგუფი ისეთი ჯგუფია, რომ ხელფასი და შემოსავალი ჩვენ არ გვექონდა და ამ დროს არ არიან ხოლმე აქტიურად ჩართულები, რადგან ჰგონიათ, რომ რასაც გააკეთებენ, აუცილებლად უნდა ჰქონდეთ ფულადი ანაზღაურება... მართალია, ესეც მნიშვნელოვანია, რომ დაინახო შრომის სავსური, მაგრამ ჩვენ ასე ვიყავით განწყობილები, რომ მოდი ჩვენ დავანახოთ ჩვენი გაკეთებული საქმე და მერე ყველაფერი თვითონ აეწყობა... [ნაკლები ჩართულობის] სხვა მიზეზი არ ყოფილა... (ქალი, კახეთი, საინიციატივო ჯგუფის წევრი 2018 წლიდან, ორგანიზაციის წევრი 2019 წლიდან).

მიუხედავად იმისა, თუ რამდენი წევრი ჰყავს ან ჰყავდა საინიციატივო ჯგუფს ოფიციალურად დარეგისტრირებამდე, კომუნიკაცია ხდება თემთან ჯგუფის წევრებს მიღმა და, ძირითადად, ამ კომუნიკაციის საფუძველზე იგეგმება და ხორციელდება როგორც საინიციატივო ჯგუფების, ისე ორგანიზაციების აქტივობები.

გამომდინარე იქიდან, რომ კვლევაში მონაწილე ჯგუფები მუშაობენ შშმ პირების საკითხებზე, თემზე საუბრისას რესპონდენტები, ძირითადად, გულისხმობენ თემში მცხოვრებ შშმ პირებსა და/ან მათ მშობლებს, თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში, არა მარტო მათ. თემთან თუ მის ინდივიდუალურ წარმომადგენლებთან ურთიერთობა ღებუა როგორც საჭიროებების დადგენის, ისე ადვოკატირების კამპანიების დაგეგმვისა და განხორციელების, არსებული თუ ახლად შექმნილი პროგრამებისა და სერვისების შესახებ ინფორმაციის გავრცელების მიზნით, სხვადასხვა ინიციატივის დაგეგმვისა და განხორციელების დროს. საჭიროებების დადგენის პროცესში, კვლევაში მონაწილე ჯგუფის წევრები, ყველაზე ხშირად კარდაკარ სიარულის პრინციპით განხორციელებულ კვლევას ასახელებენ. დასახელდა საჯარო შეხვედრები და ფოკუსჯგუფებიც. ამ თვალსაზრისით, სათემო ორგანიზაციების გამოცდილება, შეიძლება ითქვას, სრულიად საწინააღმდეგოა წინარე კვლევების იმ მიგნებისა, რომ სამოქალაქო ორგანიზაციები ვერ პასუხობენ მოსახლეობისა თუ ადგილობრივი თემების პირდაპირ საჭიროებებს, ვერ რთავენ საზოგადოებას საკუთარ საქმიანობაში, და რომ ეს განაპირობებს საზოგადოების დაბალ ნდობას მათ მიმართ (EMWI-ACCESS & CTC, 2016; Puig, 2016).

2017 წელს ჩამოყალიბდით როგორც საინიციატივო ჯგუფი და ჩავატარეთ კვლევა გურიის ორ მუნიციპალიტეტში კარდაკარის პრინციპით და აქაც ძირითადი მიმართულება გამოიკვეთა სწორედ ეს სარეაბილიტაციო ცენტრი, სხვადასხვა სერვისები და პროგრამები, რომლებიც არ ფინანსდებოდა ადგილობრივი მუნიციპალიტეტისგან (ქალი, გურია, საინიციატივო ჯგუფის წევრი 2017 წლიდან, ორგანიზაციის წევრი 2019 წლიდან).

რესპონდენტების გამოცდილებით, თემთან ურთიერთობაში ბევრი ფაქტორი და როგორც ჯგუფის, ისე თემის მახასიათებლებია მნიშვნელოვანი. ნდობა თემის წევრების მხრიდან თემის მონაწილეობის განმაპირობებელი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორია, თუმცა არა ერთადერთი. რესპონდენტთა ნაწილი მიიჩნევს, რომ თემის ნდობის მოპოვების პროცესში მნიშვნელოვან როლს თამაშობს ორგანიზების ფორმა. ხანდახან ფორმალური ჯგუფი იწვევს მეტ ნდობას, განსაკუთრებით, თუკი „ძლიერი ორგანიზაციაა“, ზოგჯერ კი – არაფორმალური, ვინაიდან თემის წევრებმა იციან, რომ ჯგუფის წევრები უსასყიდლოდ მუშაობენ და არანაირი სხვა ინტერესი არ გააჩნიათ, გარდა თემის კეთილდღეობისა. მნიშვნელოვან როლს თამაშობს საერთო გამოცდილებაც. მოცემულ შემთხვევაში, აღინიშნა, რომ შშმ პირის მშობლობა იწვევდა ნდობას თემის წევრების მხრიდან, რომლებიც თავად შშმ პირები ან მათი მშობლები იყვნენ. აღინიშნა ისიც, რომ სანამ თემის წევრები ხელშესახებ შედეგს ვერ ხედავენ, ნდობის მოპოვება რთულია, რაც უნდა საერთო გამოცდილება იყოს, რადგან არის გაცდა, რომ ყველაფერი გარკვეული პროექტის ფარგლებში კეთდება და მის დასრულებასთან ერთად მცდელობაც შეწყდება.

შეიძლება, თემთან ურთიერთობაში მეტად საინიციატივო ჯგუფი მუშაობს, მეტი ნდობის ფაქტორია. როდესაც ორგანიზაციის სახელით მიდიხარ, რატომღაც სულ არის [განცდა], რომ ორგანიზაციას სჭირდება ეს ყველაფერი, და როდესაც საინიციატივო ჯგუფის სახელით მიდიხარ და ესაუბრები, მეტი ნდობას იწვევს, რადგან მათნაირი ხარ... მაშინვე გახსნილ ურთიერთობაზე მოდიან, ორგანიზაცია ცოტა აშინებთ ხოლმე – რა გინდათ? – პირველი შეკითხვა ეს არის ხოლმე ხშირად, თუ ორგანიზაციიდან ვართ (ქალი, თბილისი/სამეგრელო/ქვემო ქართლი, საინიციატივო ჯგუფის წევრი 2013 წლიდან).

მნიშვნელოვანია ჯგუფის წევრების ცნობადობაც. ზოგიერთი ჯგუფის წევრებს თემი მანამდე უკვე იცნობდა მათი ინდივიდუალური საქმიანობიდან გამომდინარე (როგორც ზემოთ აღინიშნა, სათემო ორგანიზაციებს ზოგჯერ აყალიბებენ პირები, რომლებიც ინდივიდუალურად აქტიურობდნენ შშმ პირთა საკითხების ადვოკატირების და შშმ პირების დახმარების მიზნით), და ნდობა უკვე არსებობდა – ემყარებოდა მთლიანად ჯგუფის წევრის საქმიანობას თემისა და წევრების დახმარებისა და განვითარებისთვის და არა მის სოციალურ თუ ეკონომიკურ სტატუსს საზოგადოებაში. მართალია არა პირდაპირ, თუმცა, გარკვეული თვალსაზრისით, კვლევაში მონაწილე ჯგუფების გამოცდილება ემთხვევა, გარკვეულით კი – ეწინააღმდეგება არაერთი მკვლევრის მიგნებას, რომ არაფორმალური ჯგუფები შეიძლება ჩამოყალიბდეს ქარიზმატული ლიდერის გარშემო, რომელიც, მოცემულ მომენტში, კარგად პოზიციონირებს სოციალურ არქიტექტურაში (Kontinen & Millstein, 2017), რომ სათემო ასოციაციების წევრები წარმოადგენენ საზოგადოებაში დომინანტური სტატუსის მქონე, შეძლებულ, აქტიურ ინდივიდებს, რომლებსაც საერთო პრობლემები და ინტერესები აქვთ (Smith, 1997a; Verba, Schlozman, & Brandy, 1995). შესწავლილი საინიციატივო ჯგუფის წევრები ნამდვილად არიან ან აქტიური მოქალაქეები, რომელთაც, აქტიურობიდან გამომდინარე, გარკვეული ხილვადობა და სტატუსი შეიძინეს თემში, ან აქტიურდებიან ჯგუფის შექმნის მომენტში, თუმცა მათი საქმიანობა, დიდწილად, საზოგადოებაში მათი თუ მათი შვილების არაპრივილეგირებული მდგომარეობიდან გამომდინარეობს. ესენი არიან ჯგუფები, რომელთა უფლებებისთვისაც იბრძვიან არა საზოგადოების უფრო პრივილეგირებული წევრები, როგორც ეს აშშ-სა თუ დასავლეთის სხვა ქვეყნების მაგალითზე იკვეთება, არამედ თვითონ ისინი. ეს კონტრასტი კიდევ ერთხელ მიანიშნებს იმაზე, რომ სათემო ჯგუფების მახასიათებლები მკვეთრად შეიძლება განსხვავდებოდეს სხვადასხვა კონტექსტში.

რაც შეეხება თემის მახასიათებლებს, მნიშვნელოვან ფაქტორად სახელდება ცნობიერების დონე და საზოგადოებრივი თუ კულტურული ნორმები. რესპონდენტების გამოცდილებით, თემში როგორც სამოქალაქო, ისე შშმ პირების საკითხების გარშემო ცნობიერების დაბალი დონე თემის დაბალ მოტივაციას და ჩართულობას განაპირობებს. მნიშვნელოვანია თემის წევრების უნარების გამტკიცება, მათი ინფორმირებულობის გაზრდა, რომ მათი მოტივაცია გაიზარდოს. კვლევის მონაწილეები აცხადებენ, რომ თემის წევრების ცნობიერებისა და მოტივაციის გასაზრდელად ჩაუტარებიათ საინფორმაციო შეხვედრები, ცნობიერების ამაღლების კამპანიები, ინდივიდუალურად უმუშავიათ თემის წევრებთან მათი მონაწილეობის მნიშვნელობის გასააზრებლად, და ა.შ. ზოგიერთ შემთხვევაში დაბალ მონაწილეობას განაპირობებს თემის წევრების ადამ-წესები, რომლებიც ქალებს ნაკლებად აძლევს საშუალებას, ჩაერთონ საზოგადოებრივ ცხოვრებაში, და ვინაიდან შშმ პირთა საკითხებზე აქტივიზმში, დიდწილად, შშმ პირების დედეები ერთვებიან, მსგავსი გარემო კიდევ უფრო ართულებს თემის ჩართვას საინიციატივო ჯგუფის საქმიანობაში. აქ კიდევ ერთხელ უნდა აღინიშნოს, რომ ნდობას თემის მხრიდან სათემო ჯგუფების მიმართ არ განაპირობებს მხოლოდ ამ უკანასკნელთა მცდელობები, ჩართონ თემი და გაითვალისწინონ მისი საჭიროებები საკუთარ საქმიანობაში. ხოლო ის, თუ როგორ ურთიერთქმედებს შინაგანი თუ გარეგანი ფაქტორები (პიროვნული მახასიათებლები და მოტივაცია, ჯგუფის, თემისა და ადგილობრივი ხელისუფლების მახასიათებლები, რაზეც

ქვემოთ ვისაუბრებთ) თემთან ურთიერთობაზე, ნაკლებად არის გაანალიზებული არსებული თეორიულ მიდგომებში.

ყველაფერი მოდის ცნობიერებიდან, უნდა ამაღლდეს ცნობიერება ჯერ თვითონ ადამიანებში, უნდობლობა არის უფრო მეტად ამის საწინდარი, რომ არ ხდება ადვილად [თემთან ურთიერთობა], როდესაც უკვე გაკეთებულ საქმეს ხედავენ და ნდობა უკვე მყარდება ადამიანებში, მერე ამას მოჰყვება ყველაფერი დადებითი... საზოგადოებაში უნდა იყოს ნდობა (ქალი, კახეთი, საინიციატივო ჯგუფის წევრი 2018 წლიდან, ორგანიზაციის წევრი 2019 წლიდან).

ერთ-ერთი მიმართულება, რაც დავამკვიდრეთ, იყო მშობლებისა და ოჯახების გაძლიერება, ვინაიდან, როდესაც ჩნდება ბავშვი პრობლემით, დიდი სტრესია და ჩნდება პრობლემის მიუღებლობა. ჩვენი ძირითადი აქცენტი იყო იმაზე, რომ ახალბედა მშობლები გაგვეძლიერებინა და ხშირად ხდებოდა შეხვედრა მშობლებთან, მშობელთა სკოლა გვექონდა დაარსებული, ესეც ჩვენი საინიციატივო ჯგუფის სურვილი იყო და ასე ვცდილობთ, ჩვენი გამოცდილება გადავცეთ (ქალი, თბილისი/სამეგრელო/ქვემო ქართლი, საინიციატივო ჯგუფის წევრი 2013 წლიდან, ორგანიზაციის წევრი 2016 წლიდან).

თემთან ურთიერთობის პროცესში მნიშვნელოვან ფაქტორად სახელდება მედიაგაშუქებაც. ასეთი გამოცდილების მქონე ჯგუფის წევრები აცხადებენ, რომ მას შემდეგ, რაც მათი საქმიანობა მედიამ გააშუქა (დასახელებული იყო ეროვნული და არა ადგილობრივი მედია), ამან საზოგადოების განწყობაზე დადებითად იმოქმედა და ჯგუფის საქმიანობაში უფრო ფართო საზოგადოება ჩაერთო დიდი ენთუზიაზმით, თუმცა ამ ენთუზიაზმმა დიდხანს ვერ გასტანა.

რამდენიმე რესპონდენტი აღნიშნავს, რომ მათმა აქტიურობამ, საინიციატივო ჯგუფის შექმნამ გამოიწვია მეტი აქტიურობა თემშიც, და გაიზარდა თემის ჩართულობაც გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ამის მაგალითად სახელდება მუნიციპალიტეტების საკრებულოების შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოებში თემის წევრების (ძირითადად, მშობლების) გაზრდილი ჩართულობა და წევრობა, რასაც საინიციატივო ჯგუფის წევრებმა შეუწყვეს ხელი. თემის წევრები მატერიალურ თუ არამატერიალურ დახმარებასაც უწევენ საინიციატივო ჯგუფებს, თანხების მობილიზებით, სივრცის გამოყოფით, მოხალისეობრივი შრომით თუ სხვა. მონაწილეთა ეს, და არა მარტო, გამოცდილება აჩვენებს, რომ საკვლევი ჯგუფები ასრულებენ სამოქალაქო საზოგადოების ისეთ ფუნქციებს, როგორცაა საჯარო სივრცეში მოქალაქეთა ეფექტიანი მონაწილეობის, საზიარო ღირებულებებისა და ნორმების, მიკუთვნებულობის გრძნობის ჩამოყალიბების ხელშეწყობა, რაც ერთობლივ ქმედებაში გადაიზრდება, ურომლისოდაც ცვლილებების მიღწევა შეუძლებელია (Muller, 2006).

ხშირ შემთხვევაში, თემის, მუნიციპალიტეტის, რეგიონისა თუ ქვეყნის მასშტაბით საკუთარი საქმიანობის მხარდამჭერების მოძიება და მოზიდვა დამოკიდებულია პირად ნაცნობობაზე. პირადი ნაცნობობის შედეგად, ხშირად, თოვლის გუნდის პრინციპით იზრდება მხარდამჭერთა წრე, რასაც შემდეგ ჯგუფის აქტიურობის შედეგად შეძენილი კონტაქტებიც ემატება. ასეთ კონტაქტებში მოიაზრება სხვადასხვა ორგანიზაციის წევრები თუ წარმომადგენლები, ხელისუფლების, სხვადასხვა სახელმწიფო თუ კერძო ინსტიტუტის წარმომადგენლები (მაგალითად, სკოლების, სამედიცინო დაწესებულებებისა და სხვა), უბრალოდ

კომპეტენტური ადამიანები, რომლებსაც შეუძლიათ ჯგუფის საქმიანობაში წვლილის შეტანა.

საინიციატივო ჯგუფების თანამშრომლობა სხვა საინიციატივო ჯგუფებთან თემის შიგნით თუ თემის გარეთ იშვიათად სახელდება. ნაკლებად თანამშრომლობენ საინიციატივო ჯგუფის წევრები თემსა თუ მუნიციპალიტეტში სამოქალაქო სექტორთან, ასეთი ურთიერთობები უფრო ოფიციალურად დარეგისტრირების შემდეგ ყალიბდება. თუმცა, როგორც ზემოთ აღინიშნა, ხშირად, თემის წევრები თუ თემში არსებული სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები ეხმარებიან საინიციატივო ჯგუფებს ინფორმაციის მიწოდებით, ეხმარებიან კონტაქტების დამყარებაში როგორც თემთან, ისე პოტენციურ პარტნიორებთან და სხვა. ამის მიუხედავად, ჯგუფის წევრებს ხანდახან კონკურენტულ გარემოში უწევთ საქმიანობა, რაც ძირითადად ადგილობრივ ხელისუფლებასთან ურთიერთობისას იჩენს თავს, ვინაიდან ხელისუფლების რესურსი შეზღუდულია და მის მოსაპოვებლად სამოქალაქო ჯგუფები თუ ორგანიზაციები კონკურენტულ გარემოში ხვდებიან. ეს მიგნება ახლოს დგას ქართულ კონტექსტში არსებულ დაკვირვებასთან, რომ მეტი რესურსის მქონე ფორმალური სამოქალაქო ჯგუფები ხშირად გულგრილნი არიან თვითმობილიზებული, ხშირად მარგინალიზებული ჯგუფების მიმართ, და რომ ტრადიციულ და არაფორმალურ სამოქალაქო ჯგუფებს შორის გამოცდილების გაზიარების შემთხვევები იშვიათია (ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი, 2017).

საინიციატივო ჯგუფების ურთიერთობა ადგილობრივ ხელისუფლებასთან

როგორც საინიციატივო ჯგუფების საქმიანობის მიზნებიდან, ისე მწირი რესურსებიდან გამომდინარე, კვლევაში მონაწილე ყველა მოქმედი თუ ყოფილი საინიციატივო ჯგუფისა და ორგანიზაციის წევრს აქვს ადგილობრივ ხელისუფლებასთან ურთიერთობის გამოცდილება. ეს გამოცდილება განსხვავდება მუნიციპალიტეტების მიხედვით და დამოკიდებულია როგორც ადგილობრივი ხელისუფლების, ისე სამოქალაქო ჯგუფების ფორმასა თუ მახასიათებლებზე, თუმცა გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის წინაშე არსებული ძირითადი გამოწვევები საერთოა თითქმის ყველა ჯგუფისათვის. ზოგადად, ადგილობრივ ხელისუფლებასთან ურთიერთობის, ხანდახან კი თემთან ურთიერთობის კონტექსტშიც, საკუთარი საქმიანობა სამოქალაქო ჯგუფების წევრებისთვის ასოცირდება ბრძოლასთან, ვინაიდან მონაწილეები ხშირად აქლერებენ ისეთ ფრაზებს, როგორიცაა: „ბრძოლა რომ დავიწყეთ“, „ბრძოლას ყოველთვის აქვს აზრი“, „უბრძოლველად არაფერი გამოდის“ და სხვა.

კვლევის მონაწილეები იცნობენ ადგილობრივ ხელისუფლებასთან ურთიერთობის მექანიზმებს, მათ შორის, შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოებს. ჯგუფის წევრებს ადგილობრივ ხელისუფლებასთან ურთიერთობის სხვადასხვა გზისა და მექანიზმისთვის მიუმართავენ. ურთიერთობა თუ ურთიერთობის მცდელობა ყოფილა როგორც წერილობითი მოთხოვნების, ისე პირისპირ შეხვედრების, ხსენებულ საბჭოში მონაწილეობის, საკრებულოს სხდომებზე დასწრებისა და სიტყვით გამოსვლის, პროექტების წარდგენის, საკონკურსო პროგრამებში მონაწილეობისა და სხვა გზებით.

ჯერ პირდაპირი შეხვედრა მოვაწყვეთ, გვინტერესებდა, სიტყვიერი შეთა-

ნსმება თუ შედეგებოდა, სიტყვიერი შეთანხმება შედგა და ძალიან თბილად მიგვიღეს, მაგრამ, როცა უკვე წერილობით შევაგზავნეთ მოთხოვნა, უკვე წამოიჭრა უამრავი პრობლემა... მერე პირადად მერს ვთხოვე... ჯერ დაგვთანხმდნენ, არ არის პრობლემაო, მაგრამ ახლა უკვე, როდესაც ისევ წერილობით შევიდა მოთხოვნა, ისევ თავს იკავებენ (ქალი, კახეთი, საინიციატივო ჯგუფის წევრი 2018 წლიდან, ორგანიზაციის წევრი 2019 წლიდან).

ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან გადაწყვეტილების მიღების პროცესში თემის ჩართვის ინიციატივა ნაკლებია. ყოფილა შემთხვევებიც, როდესაც ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს თავად გამოუხატავთ ინიციატივა და თავად ჰქონიათ კომუნიკაცია აქტიურ ჯგუფთან, თუმცა ეს ყოველთვის არ განაპირობებდა დანაპირების შესრულებასა და პრობლემური საკითხების მოგვარებას.

ბიუჯეტირების პროცესში არავინ არ გრთავს და ამ მომენტში არავინ გეძახის, მაგრამ როდესაც დამტკიცებულა უკვე ბიუჯეტი, ამის გასაცნობად, კი ბატონო, გეპატიჟებიან, მე პირადად, ყოველთვის მეპატიჟებოდნენ, მაგრამ გამოცდილებამ ის მასწავლა, რომ მერე კი არ უნდა მივიღე, მაშინ უნდა მივიღე, როდესაც დაგეგმარება მიდის ბიუჯეტის, ახლა უკვე აღარ შეგვეშლება ასეთი რამეები (ქალი, კახეთი, საინიციატივო ჯგუფის წევრი 2018 წლიდან, ორგანიზაციის წევრი 2019 წლიდან).

როდესაც გადაწყვეტილების მიმღებმა პირებმა ნახეს, რომ ჩვენ ცოტა სიდრმისეულად გვინტერესებდა საკითხები, ჩვენი ურთიერთობა თავისთავად დალაგდა იმით, რომ ისინი გვიწვევდნენ, მაგალითად, სხვადასხვა შეხვედრაზე, არაფორმალურ გარემოში, თავიანთ საკრებულოს შეხვედრაზეც ბევრჯერ დაუძახიათ, ვიდაც რომ მოდიოდა შშმ პირების საკითხებზე, მონიტორინგი იქნებოდა თუ სხვა, გვეძახდნენ ჩვენ, ახრს გვეკითხებოდნენ, ერთობლივად ვმსჯელობდით... ძალიან ეფექტურად გამოდიოდა კომუნიკაცია... თვითონვე იჩენდნენ ინიციატივას (ქალი, კახეთი, საინიციატივო ჯგუფის წევრი 2015 წლიდან დღემდე).

როდესაც საქმე მონაწილეობის მექანიზმებს ეხება, კვლევის მონაწილეები მიიჩნევენ, რომ შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოები თითქმის არ ფუნქციონირებს, არც კი იკრიბება და მხოლოდ ფორმალურად არსებობს, ან არაეფექტურია და სათანადოდ ვერ ასრულებს დაკისრებულ მოვალეობას. რამდენიმე რესპონდენტი ჩართული იყო საბჭოს ჩამოყალიბების პროცესში თავის მუნიციპალიტეტში, რამდენიმე საბჭოს მიმდინარე ძირითადი თუ მოწვეული წევრია, ან იყო და დატოვა საბჭო იმ მიზეზით, რომ არ განიხილებოდა თემის საჭიროებები, ან „არაფერი კეთებოდა“. საბჭოს წევრთა შორის ან ხელისუფლების წარმომადგენლები დომინირებენ და იმ თემის წევრები, რომელთა ინტერესებსაც უნდა ემსახურებოდეს საბჭო, საკმარისად არ არიან წარმოდგენილნი, ან წევრობის შემთხვევაშიც კი, მათი მოსაზრებები და საჭიროებები საკმარისად არ არის გათვალისწინებული.

მიუხედავად ჩართულობის მექანიზმების არსებობისა, ამ მექანიზმების ეფექტიანად გამოყენების შესაძლებლობები განსხვავდება მუნიციპალიტეტების მიხედვით, თუმცა, ძირითადად, სათემო ჯგუფებს მსგავსი გამოცდილება აქვთ. კვლევის მიგნებები მიუთითებს იმაზე, რომ მექანიზმების ეფექტიანად გამოყენებაზე გავლენას ახდენს ადგილობრივი ხელისუფლების სხვადასხვა მახასიათებელი. ამ უკანასკნელთან ურთიერთობის ხელის შემწყობ თუ ხელის შემშლელ

ფაქტორებზე საუბრისას სახელდება ხელისუფლების ხელთ არსებულ ადამიანურ თუ ფინანსურ რესურსთან, კადრების კვალიფიკაციასა და ენთუზიაზმთან, პირადი კონტაქტების ქონასთან დაკავშირებული საკითხები.

ადგილობრივ ხელისუფლებასთან ურთიერთობის ხელშემშლელ ფაქტორად სახელდება ადამიანურ რესურსთან დაკავშირებული საკითხები – ხელისუფლების წარმომადგენლებისა თუ კადრების პროფესიონალიზმი, კვალიფიკაცია, ადვოკატირებულ საკითხებთან დაკავშირებით ცნობიერების დონე და დამოკიდებულება. ხშირად, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა არ იციან საკუთარი კომპეტენციები, არ იციან რა ევალებათ, და მიზნობრივად ვერ განკარგავენ ბიუჯეტს. სახელდება ტერმინოლოგიური თუ ტექნიკური შეცდომები მუნიციპალურ პროგრამებში, ვერბალური კომუნიკაციის დროს, თემის სპეციფიკისა და მისი საჭიროებების მიმართ დაბალი ცნობიერება და სხვა. ერთ-ერთი რესპონდენტი აღნიშნავს, რომ როდესაც შშმ პირებისთვის ჰიგიენური საშუალებების დაფინანსების მოთხოვნა წარუდგინა ადგილობრივ ხელისუფლებას, პასუხი იყო, რომ „უხერხულია ჰიგიენურ საშუალებებზე საუბარი საკრებულოში“ (ქალი, კახეთი, ორგანიზაციის წევრი 2008 წლიდან, საინიციატივო ჯგუფის წევრი 2013 წლიდან დღემდე). ეს მეტყველებს ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან შშმ პირების საკითხებისადმი ნაკლებ სენსიტიურობასა და ინტერესზე, დახმარების ნაკლებ სურვილსა და მოტივაციაზე, თუმცა მონაწილეებს აქვთ ხელისუფლების უფრო ენთუზიაზმით განწყობილ წარმომადგენლებთან ურთიერთობის გამოცდილება. აღინიშნა ისიც, რომ შშმ პირების საკითხებზე მომუშავე ჯგუფებს მიიჩნევენ მეტად დახმარების მიმღებებად, ვიდრე ჩვეულებრივ მოქალაქეებად, „სერიოზულად არ აღიქვამენ“ და ეჭვქვეშ აყენებენ მათ გამოცდილებას, ცოდნასა და საჭიროებებს. დასახელდა ხელისუფლების წარმომადგენლების პირადი მახასიათებლებიც, რომლებიც ზოგჯერ განაწყობს ჯგუფის წევრებს ურთიერთობისთვის და აადვილებს ურთიერთობას, ზოგჯერ კი, პირიქით, ართულებს.

მნიშვნელოვანია უფრო ინფორმირებული საზოგადოება, მათ შორის ადგილობრივ ხელისუფლებაში, და ზოგადად, კარგი იქნებოდა გადამზადება კადრების, ვინაიდან თემთან მიმართებაში, ტერმინოლოგიასთან მიმართებაში ხშირად არის შეცდომები, პროგრამებშიც არის ეს შეცდომები გაპარული, ასე ვთქვათ, და არის გამოყენებული ისეთი ტერმინოლოგია, რომელიც შესწორებას საჭიროებს... დღეს ეს ასე არ უნდა იყოს ნამდვილად და ამისთვის საჭიროა აქტიურობა ორივე მხარის, თანამშრომლობა, პირველ რიგში (ქალი, იმერეთი, საინიციატივო ჯგუფის წევრი 2018 წლიდან დღემდე).

ხშირად გვქონია შეხვედრები მერის მოადგილესთან, რომელიც შეიძლება თავიდან დაგხვდეს კარგი განწყობით, კარგად შემოვიდეს ურთიერთობაში, კარგი მანერები გამოიჩინოს, მაგრამ საუბრის რაღაც ნაწილში ისეთი ჟესტი გააკეთოს, ისე გესაუბროს, ისეთ პირად კომპლიმენტზე ან არაკომპლიმენტზე გადავიდეს, რომ ისეთია... ბევრი მშობელი ყოფილა, რომლებსაც უთქვამთ, რომ მე მეორედ არ მინდა იქ შესვლა და მათთან ურთიერთობა (ქალი, გურია, საინიციატივო ჯგუფის წევრი 2017 წლიდან, ორგანიზაციის წევრი 2019 წლიდან).

ხელისუფლებასთან ურთიერთობაზე დიდ გავლენას ახდენს როგორც ხელისუფლების ხელთ არსებული ფინანსური რესურსი, ისე მისი წარმომადგენლების

ხელმომჭირნეობა. ეს, ძირითადად, იმაში გამოიხატება, რომ ადგილობრივი ხელისუფლება უფრო დაბალბიუჯეტური მოთხოვნებს აკმაყოფილებს, თანადაფინანსებას უზრუნველყოფს და/ან უფრო ერთჯერად ინიციატივებს უჭერს მხარს, ვიდრე მდგრადს. ფინანსური რესურსის სიმწირის არგუმენტი მონაწილეთა ნაწილს არადამაჯერებლად მიაჩნია და აცხადებს, რომ ბიუჯეტირების პროცესში სწორად დასახული პრიორიტეტები ამ პრობლემას მოაგვარებდა. გარდა ამისა, მონაწილეთა ინფორმაციით, ხელისუფლებას აქვს რეზერვები, რომელიც ყოველთვის იძლევა „კარგი“ პროექტის დაფინანსების საშუალებას, თუკი ამის ნება იქნება. იშვიათად, მაგრამ სახელდება შემთხვევებიც, როდესაც საინიციატივო ჯგუფის მოთხოვნის შედეგად, ადგილობრივმა ხელისუფლებამ დანერგა მდგრადი პროგრამა და შეიქმნა სერვისი. ყოფილა შემთხვევა, როდესაც საინიციატივო ჯგუფს სხვადასხვა მუნიციპალიტეტის ხელისუფლებასთან ჰქონია ურთიერთობა, გამომდინარე იქიდან, რომ ჯგუფს სხვადასხვა მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები შეადგენდნენ, და ყველა ხელისუფლებასთან ჰქონიათ სხვადასხვა გამოცდილება, ზოგს დაუფინანსებია მდგრადი ინიციატივები, ზოგთან კი მხოლოდ ერთჯერად სერვისზე მოხდა შეთანხმება, ზოგთან უფრო ადვილი იყო ურთიერთობა, ზოგთან ნაკლებად, ზოგთან მნიშვნელოვანი იყო პირადი ნაცნობობა, ზოგთან კი არა. ამას, აღნიშნული ჯგუფის წევრები, ხელისუფლების ხელთ არსებულ რესურსთან ერთად, კადრების კვალიფიკაციისა და ენთუზიაზმის ზემოხსენებულ ფაქტორებსაც უკავშირებენ.

ამას ჩვენ ყოველთვის ვიძახით, რომ პრიორიტეტების განსაზღვრა უნდა მოხდეს თემთან ახლო ურთიერთობის ფონზე, უნდა იცოდეს მუნიციპალიტეტმა, რა საჭიროება დგას თემში, ვიწრო ჭრილში უნდა ხელავეყვეს ყველანაირ პრობლემას, და შემდგომ ისე უნდა აფინანსდებოდნენ, პრიორიტეტების მიხედვით, პატარა მუნიციპალურ პროგრამებს (ქალი, კახეთი, საინიციატივო ჯგუფის წევრი 2015 წლიდან დღემდე).

რესპონდენტები მიიჩნევენ, რომ პირად ურთიერთობებს/ნაცნობობას/კავშირებს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ადგილობრივ ხელისუფლებასთან ურთიერთობაში წარმატების მისაღწევად. კონტაქტები მნიშვნელოვანია როგორც კომუნიკაციის დასამყარებლად, ისე მხარდაჭერის მოსაპოვებლად. რამდენიმე რესპონდენტი რამდენიმე სხვადასხვა მუნიციპალიტეტიდან, აღნიშნავს, რომ მათ ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან წინააღმდეგობა შეხვდათ, რადგან ხელისუფლების წარმომადგენელს ნათესაური კავშირი ჰქონდა სხვა ორგანიზაციის წარმომადგენელთან და მუნიციპალიტეტში არსებული რესურსი იქით იყო მიმართული. იმ რესპონდენტების აზრით, რომელთაც აქვთ ხელისუფლების წარმომადგენლებთან ურთიერთობის გამოცდილება როგორც საინიციატივო ჯგუფის, ისე ორგანიზაციის წარმომადგენლებს, პირადი ნაცნობობა მნიშვნელოვანია ორივე შემთხვევაში. თუმცა არის შემთხვევები, როდესაც რესპონდენტს ჰქონია პირადი ნაცნობობა ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელთან, მაგრამ აცხადებს, რომ მუნიციპალიტეტი ყოველთვის აქცევდა ყურადღებას პროექტის მახასიათებლებს – რამდენად მდგრადი იქნებოდა, რამდენად იყო საჭიროება, რამდენად პრიორიტეტული იყო, რა რაოდენობის ბენეფიციარებზე გავიდოდა და ა.შ. ხანდახან კი, პირიქით, აღინიშნება, რომ თუკი ხელისუფლებას ისეთ რამეს სთხოვ, რაც მას „არ აწყობს“, ვერც პირადი ნაცნობობა თამაშობს რაიმე როლს.

ზემოთ აღწერილი მიგნებები, გარკვეულწილად, ეწინააღმდეგება საქართვე-

ლოს კონტექსტში წინარე კვლევების დაშვებებს, რომ სამოქალაქო ჯგუფებს მუნიციპალურ ხელისუფლებასთან თანამშრომლობის მეტი შესაძლებლობა აქვთ, ვინაიდან საკითხები, რომელზეც ისინი მუშაობენ, პოლიტიკურად ნაკლებწინააღმდეგობრივია, კავშირები სამოქალაქო ჯგუფებსა და ხელისუფლებას შორის უფრო მჭიდროა, და რომ, შეზღუდული რესურსებიდან გამომდინარე, ადგილობრივი ხელისუფლება უფრო ღიაა თანამშრომლობისათვის (EMWI-ACCESS & CTC 2016). ისევ და ისევ, ეს გამოცდილებები შესაძლოა განსხვავდებოდეს მუნიციპალიტეტების მიხედვით, თუმცა ადგილობრივ ხელისუფლებასთან ურთიერთობაში არსებული ზემოთ აღწერილი დაბრკოლებები აჩვენებს, რომ მჭიდრო კავშირებს ხშირად პირადი ნაცნობობა (მეგობრობა, ნათესაობა) განაპირობებს, განსახილველი საკითხების ნაკლებად წინააღმდეგობრივობა კი ნაკლებად უზრუნველყოფს თანამშრომლობის წარმატებას.

გამომდინარე კვლევის ჩატარების პერიოდიდან, რომელიც წინასაარჩევნო პერიოდს დაემთხვა, არაერთი მონაწილე ახსენებს არჩევნების ფაქტორს და აცხადებს, რომ წინასაარჩევნო „არეულობა“ ართულებს ხელისუფლებასთან ურთიერთობას და ელოდებიან არჩევნების შემდეგ „სიტუაციის დალაგებას“, რომ მათ მოთხოვნებს მეტი ყურადღება მიექცეს.

კვლევის შედეგად გამოვლენილი ურთიერთობა სამოქალაქო ჯგუფებსა და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის, გარკვეულწილად, იმეორებს თემის მმართველობის მოდელის დაშვებებს ტრადიციული და კლანური ურთიერთობის შესახებ, რაც გულისხმობს, რომ ადგილობრივ ხელისუფლებას სათემო ორგანიზაციების ღირებულება სათანადოდ არ აქვს გააზრებული, ურთიერთობას კი ურთიერთდამოკიდებულება და ნდობა წარმართავს, თუმცა ურთიერთობისა და პროცესის მართვის თვალსაზრისით მოდელის მიერ შემოთავაზებულ ვერცერთ კომბინაციასთან ვერ არის ახლოს, მნიშვნელოვანი კონტექსტუალური განსხვავებებიდან გამომდინარე, და საკმაოდ შორსაა სათემო მმართველობის იდეალისგან, რაც გულისხმობს, რომ ადგილობრივი ხელისუფლება მოხალისეობრივ სექტორს დემოკრატიული განვითარებისა და მონაწილეობის მნიშვნელოვან წყაროდ მიიჩნევს, და ურთიერთობას კონტაქტები და ნდობა განსაზღვრავს (Ross & Osborne, 1999).

რაც შეეხება სამოქალაქო ჯგუფების იმ მახასიათებლებს, რომელიც ხელს უწყობს მათ ურთიერთობას ადგილობრივ ხელისუფლებასთან, ძირითადად, დასახელდა კოლექტიური ქმედების შესაძლებლობა, კანონმდებლობისა და მონაწილეობის მექანიზმების ცოდნა, დაგროვილი გამოცდილება. მნიშვნელოვან როლს თამაშობს ორგანიზების ფორმაც.

კვლევის მონაწილეები მიიჩნევენ, რომ ადგილობრივ ხელისუფლებასთან ურთიერთობის ერთობლივი მცდელობები ბევრად უფრო ეფექტიანია და მეტი შედეგი მოაქვს, ვიდრე მარტო, ინდივიდუალურ მუშაობას. ამისთვის მნიშვნელოვანია თემის მხრიდან აქტიურობაც. როდესაც ადგილობრივი ხელისუფლება ხელდავს, რომ თემი ძლიერია, დახმარების მოტივაციაც იზრდება და დაკისრებული ვალდებულებების შესრულების წნეხიც.

[ადგილობრივ ხელისუფლებასთან ურთიერთობისას] შედეგს, მგონი, ყველაფერი ერთად გამოიღებს, ერთობლივად, იქ პირადი ნაცნობობაც გარკვეულ მომენტში საჭიროა, იქ ის... მაგრამ ყველაზე მეტად, მე ვთვლი, რომ დაინახავენ, რომ ბევრნი ვართ, რომ ძალა ვართ უკვე ისეთი, რომ ვერც მოგვატყუებენ... როცა ძალას ხედავენ, იქ უკვე საქმეც კარგად კეთდება (ქალი,

კახეთი, საინიციატივო ჯგუფის წევრი 2018 წლიდან, ორგანიზაციის წევრი 2019 წლიდან).

ადგილობრივ ხელისუფლებასთან ურთიერთობაში მნიშვნელოვან ფაქტორად სახელდება კანონმდებლობის ცოდნა საინიციატივო ჯგუფების მხრიდან და ადგილობრივ ხელისუფლებასთან საკანონმდებლო ენით საუბარი, ვინაიდან არის არაერთი პრეცედენტი, როდესაც ხელისუფლების წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ რაღაცას საკუთარი კეთილი ნებით აკეთებენ, მაშინ როდესაც ამას კანონმდებლობა ავალდებულებთ. დაგროვილი გამოცდილება კი ეხმარება ჯგუფის წევრებს, ნელ-ნელა უფრო კარგად განსაზღვრონ ნაბიჯები, რომელიც ადგილობრივ ხელისუფლებასთან ურთიერთობისას უნდა გადადგან. მაგალითად, როგორც ზემოთ საუბრობს ერთ-ერთი მონაწილე, ჯგუფის წევრებმა ისწავლეს, რომ ადგილობრივ ხელისუფლებასთან ურთიერთობა მნიშვნელოვანია ბიუჯეტირების პროცესში, რის ინიციატივასაც ხელისუფლება თავად არ იჩენს, მაგრამ მოქალაქეებს აქვთ ამ პროცესში მონაწილეობის უფლება. სამწუხაროდ, გამოცდილება ყოველთვის არ ამარტივებს ადგილობრივ ხელისუფლებასთან ურთიერთობას. ზოგიერთ შემთხვევაში, ურთიერთობის გარკვეული გამოცდილება გარკვეულ ცოდნასა და დამოკიდებულებას აყალიბებს ადგილობრივი ხელისუფლების მუშაობის პრინციპებისადმი და საინიციატივო ჯგუფის წევრებმა, ამ გამოცდილების მიღების შემდეგ, უკვე იციან, თუ რა შემთხვევებში ღირს ადგილობრივ ხელისუფლებასთან დაკავშირება და რა შემთხვევებში არა. არის შემთხვევებიც, როდესაც ადგილობრივ ხელისუფლებასთან ურთიერთობის მცდელობა ისეთი სიხშირით სრულდებოდა წარუმატებლად, რომ ჯგუფის წევრებს მცდელობის სურვილიც აღარ აქვთ. ზოგჯერ კი, როგორც ზემოთ აღინიშნა, ხელისუფლების კონკრეტულ წარმომადგენლებთან ურთიერთობა იმდენად უსიამოვნო გამოცდილებაა, რომ ჯგუფის წევრებს ამის სურვილი აღარ უჩნდებათ.

პრიორიტეტი თუ არ იქნება სწორად შერჩეული, ბიუჯეტი ყოველთვის არასაკმარისი გვექნება, ამიტომ, როდესაც ბიუჯეტის დაბეჭდვა ხდება, მაშინ უნდა მიიღოს ყველა დაინტერესებულმა პირმა მონაწილეობა და არა მას შემდეგ, როდესაც უკვე გაიწერება ყველაფერი. თუმცა, თუკი მართლა კარგი პროექტია, არც მერე უნდა იყოს ამის დაფინანსება პრობლემა, თუკი არის კეთილი ნება, რადგან არის სარეზერვო თანხები, მაგრამ, სამწუხაროდ, ძალიან ბევრი მადალჩინოსანი ამას კანონმდებლობას კი არ უდარებს და ისე კი არ იღებს გადაწყვეტილებას, ზუსტადაც იძახის, რომ ჩემი კეთილი ნებააო და ასე არ არის, მოკლედ (ქალი, კახეთი, საინიციატივო ჯგუფის წევრი 2015 წლიდან დღემდე).

სიმაღლესი გითხრათ, აღარ მაქვს ურთიერთობა გამგეობასთან... აზრი არ აქვს, ნერვები უნდა მოვიშალო... იქ სხვა რაღაცეებიც ხდება და შევეშვი ყველას. თუმცა, სოფლის გამგებელთან და დეპუტატთან ძალიან კარგი ურთიერთობა მაქვს და თუ რამე მჭირდება, ისევ მაგათთან მივდივარ, ვიდრე მუნიციპალიტეტში... უკვე ვიცი, რაში შეიძლება დამეხმარონ და რაში არა. რაზეც ვიცი, რო არ დამეხმარებიან, აღარ მივდივარ (ქალი, კახეთი, საინიციატივო ჯგუფის წევრი 2013 წლიდან, ორგანიზაციის წევრი 2014 წლიდან).

კვლევის მონაწილეები მიიჩნევენ, რომ ორგანიზების ფორმას, ხშირად, თუმცა არა ყოველთვის, საკმაოდ დიდი გავლენა აქვს ადგილობრივ ხელისუფლებასთან ურთიერთობაზე. გამომდინარე იქიდან, რომ კვლევის მონაწილეთა დიდ ნაწილს

აქვს როგორც ფორმალური, ისე არაფორმალური ორგანიზაციის სახელით ადგილობრივ ხელისუფლებასთან ურთიერთობის გამოცდილება, შესაძლებელი იყო ამ მხრივ შედარებების გაკეთება. მონაწილეთა ნაწილის გამოცდილებით, არაფორმალურ ჯგუფთან შედარებით, რეგისტრირებულ ორგანიზაციას მეტი „ძალა, რესურსი და ბერკეტი“, მეტი „წონა“ აქვს და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები მეტად უწევენ ანგარიშს, „მეტი სიფრთხილით“ ეკიდებიან მათთან კომუნიკაციას. აღინიშნა ისიც, რომ როდესაც სამოქალაქო ორგანიზაციის უკან დონორი დგას, ეს მეტ მოტივაციასა და ნდობას განაპირობებს ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან. ითქვა ისიც, რომ თუ ორგანიზაციის მიერ წარდგენილ განაცხადს ყოველთვის მოჰყვება უკუკავშირი, არაფორმალური ჯგუფის მიერ წარდგენილი განაცხადი ხშირად არც კი განიხილება. ამის ერთ-ერთი სავარაუდო განმარტებელი არის ის, რომ მუნიციპალიტეტებში, რომლებშიც ბევრი საინიციატივო ჯგუფი და ორგანიზაციაა და მიმართვიანობა მაღალია, ამ ნიშნით გაცხრილავენ განსახილველ განაცხადებს, მაშინ როდესაც იმ მუნიციპალიტეტების ხელისუფლება, რომელშიც სამოქალაქო ჯგუფები ნაკლებად აქტიურია, უფრო ღიაა ნებისმიერი სახის მიმართვისადმი. ეს მიგნება კიდევ ერთხელ იმეორებს ლიტერატურაში არსებულ დაშვებას, რომ ფორმალურად რეგისტრაცია უზრუნველყოფს ლეგიტიმაციას ხელისუფლების წინაშე (Kontinen & Millstein, 2017).

„შეიცვალა, კი, რაც დავრეგისტრირდით ოფიციალურად ორგანიზაციად, შეიცვალა ძალიან მიდგომები. ადრე, თითქოს, იმათი ტონი ცოტა სხვანაირი იყო, მეჩვენებოდა, რომ ჩვენ რომ გამოვდიოდით, მერე კითხულობდნენ იმ კანონებს და მერე იჩეჩებოდნენ იმ რადაცებში, ჩვენ რაზეც ვესაუბრებოდით... რაც დავრეგისტრირდით, ცოტა მეტი სიფრთხილით ეკიდებიან ჩვენთან დაუსაბუთებელი პასუხის გაცემას, უფრო მეტად ცდილობენ, რომ ჯერ კარგად გაერკვიონ საკითხებში“ (ქალი, კახეთი, საინიციატივო ჯგუფის წევრი 2015 წლიდან დღემდე).

მსგავსი გამოცდილება ხშირად არ სახელდება, თუმცა ერთ-ერთი რესპონდენტის შემთხვევა აჩვენებს, რომ ადგილობრივ ხელისუფლებასთან ურთიერთობაზე, შესაძლოა, გავლენას ახდენდეს ჯგუფის მიდგომა საკუთარი საქმიანობის მიმართ. ზემოთ აღინიშნა, რომ მედიაგამუქება ზრდის სამოქალაქო ჯგუფების მიმართ თემის ინტერესს. ამ შემთხვევაში, მედიაგამუქებას უარყოფითი შედეგი მოჰყვა ხელისუფლებასთან ურთიერთობის თვალსაზრისით. როგორც რესპონდენტი აღნიშნავს, ხელისუფლების წარმომადგენლები არათუ ეხმარებოდნენ, არამედ ხელსაც კი უშლიდნენ საინიციატივო ჯგუფს საქმიანობაში, რადგან მათი საქმიანობა ააშკარავებდა მუნიციპალიტეტში არსებულ მძიმე სოციალურ ვითარებას სხვადასხვა მედიის საშუალებით.

...პირდაპირ ჰქონდათ დავალებული ხელისუფლების წარმომადგენლებს, რომ არ უნდა ჩავრეულიყავით ჩვენ ამ პროცესში, ბრძანება იყო გაცემული, რომ არ დაგვხმარებოდა არცერთი მუშობელი, იმიტომ, რომ სოციალური ფონი ძალიან კარგად ჩანს მერე, როდესაც ლაივებს აკეთებ, ფოტო-ვიდეო-მასალას დებ... ტელევიზიები ჩამოგვყავს და აშუქებენ ტელევიზიები... თავიდან ძალიან დიდი დაპირებები მოგვცეს, თუმცა დაპირება დარჩა დაპირებად და არც ხელისუფლების ჩართულობა იყო ამაში, არც საკრებულოს თავმჯდომარის, პირიქით, საკრებულოს თავმჯდომარე სულ ხელების ბრახუნით მელაპარაკა, როდესაც მივედი და ვუთხარი, რომ ამდენი დრო ჰქო-

ნდათ და შეუძლოთ ჩართულობენ ამ ყველაფერში... (მამაკაცი, კახეთი, საინიციატივო ჯგუფის წევრი 2015 წლიდან დღემდე).

განხილვა და დასკვნები

წინამდებარე კვლევის მიზანი იყო, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციების გამოცდილებაზე დაყრდნობით, საქართველოში არაფორმალური სათემო სამოქალაქო ორგანიზაციების მახასიათებლების, მათი აღმოცენების მიზეზების, თემთან ურთიერთობასა და ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში მათი ჩართულობის ხელის შეწყობი და ხელის შემშლელი გარემოებების ანალიზი.

კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ არაფორმალური სათემო ორგანიზაციები საქართველოში შეიძლება წარმოადგენდნენ ყველაზე მოწყვლადი და მარგინალიზებული მოქალაქეების ხმას, უზრუნველყოფდნენ მათ ინფორმირებულობასა და ჩართვას გადაწყვეტილების მიღების პროცესში, ხელს უწყობდნენ საზოგადოებაში სოლიდარობას და სოციალური კაპიტალის დაგროვებას, და ასრულებდნენ როგორც ხელისუფლების ანგარიშვალდებულების მაკონტროლებელ, ისე სერვისის მიმწოდებლის როლს – ანუ ითავსებდნენ თითქმის ყველა იმ ძირითად როლს, რომელსაც სამოქალაქო სექტორისთვის მოიაზრებს ლიტერატურა დემოკრატიული თუ მდგრადი განვითარების კონტექსტში (Mohan & Stokke, 2000).

შეიძლება ითქვას, რომ სათემო ორგანიზაციები საქართველოს მუნიციპალიტეტებში ყალიბდება პოლიტიკისა და ეკონომიკისგან დამოუკიდებლად, და წარმოადგენს სოციალური სოლიდარობის დამოუკიდებელ სფეროს, თავდაცვის მექანიზმს სახელმწიფოსა და ბაზრის, ისევე, როგორც სხვა სოციალური სფეროების კომბინირებული ჩაგვრის წინააღმდეგ, როგორც ამას სოციო-ეკონომიკური თეორიის მინიმალისტური მიდგომა მოიაზრებს (Muller, 2006), ვინაიდან მათი მიზანი იმ საჭიროებების დაკმაყოფილებაა, რომელიც იმდენად მარგინალურია, რომ როგორც სახელმწიფო, ისე სამოქალაქო სექტორის მიღმაა. თუმცა, რადგან ამ ორგანიზაციებს არ გააჩნიათ რესურსი, დამოუკიდებლად ან თემისგან რესურსების მობილიზების გზით გაუმკლავდნენ თემში არსებულ პრობლემურ საკითხებს, ვინაიდან როგორც თავად, ისე თემის წევრებიც მოწყვლად ორგანიზაციებს წარმოადგენენ, სათემო ორგანიზაციები მალევე დგებიან ხელისუფლებასა თუ საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის საჭიროების წინაშე.

მართლაც, როგორც ზოგიერთი ავტორი ასკვნის (ACSC, 2016; Mohan & Stokke, 2000), იმისათვის, რომ არ იყვნენ დამოკიდებულნი საერთაშორისო დონორების რესურსებზე, რაც მდგრადობას უშლის ხელს, ადგილობრივმა ორგანიზაციებმა სახელმწიფო უნდა აქციონ ადგილობრივი სათემო საქმიანობის განუყოფელ ნაწილად, და არა პირიქით, შექმნან კეთილდღეობის ალტერნატიული სისტემა სახელმწიფოს გარეთ. შესწავლილი ორგანიზაციები ნამდვილად ცდილობენ მდგრადი ურთიერთობის დამყარებას ადგილობრივ ხელისუფლებასთან და არც მათი საქმიანობაა სრულად დონორების დაფინანსებაზე დამოკიდებული, ვინაიდან ამ ორგანიზაციებს არაფორმალურად არსებობის ხანგრძლივი გამოცდილება აქვთ, თუმცა იმდენად არაპრივილეგირებულნი არიან როგორც სოციალური, ისე ეკონომიკური თვალსაზრისით, რომ ნებისმიერი ხელმისაწვდომი რესურსისათვის უწყვეტ ბრძოლა.

ასევე რთულია ამ თვალსაზრისით იმ შიშზე საუბარი, რომ საერთაშორისო დაფინანსებაზე წვდომა გულისხმობს ჰეგემონიურ პრაქტიკასა და ლექსიკაზე

ავტომატურ თანხმობას, და შესაძლოა სამოქალაქო ორგანიზაციები დონორების კონცეპტუალურ „მიბაძვამდე“ მიიყვანოს (Kontinen & Millstein, 2017; Lohmann, 1992). ხშირად, თუმცა არა ყოველთვის, სათემო ჯგუფებს აყალიბებენ თემის ის წევრები, რომლებიც საკუთარ ყოველდღიურობაში განიცდიან მათ მიერ გაჟღერებული საკითხების სიმძიმეს, რაც ხშირად, მათ საცხოვრებელ გარემოში მათთვის მნიშვნელოვანი სერვისებისა თუ პროგრამების არარსებობას უკავშირდება. წევრებს, ძირითადად, საერთო წუხილი და ინტერესები აქვთ, და მათ გაერთიანებას პირადი ნაცნობობა თუ საერთო წარსული გამოცდილება განაპირობებს. ზოგიერთი ჯგუფი შესაძლოა დარეგისტრირდეს ფორმალურად რესურსების მოძიების მიზნით, თუმცა ეს დინამიკას არ ცვლის, და ჯგუფები თემში საქმიანობას „ქვემოდან ზემოთ“ პრინციპით განაგრძობენ.

სათემო ჯგუფებს მჭიდრო ურთიერთობა აქვთ თემთან, თუმცა ჯგუფის წევრებისა თუ მოხალისეების მოზიდვა, თემის ჩართვა ჯგუფის საქმიანობაში ბევრ გამოწვევასთან ასოცირდება, რაც ბევრი ფაქტორით და როგორც ჯგუფის, ისე თემის მახასიათებლებით არის გამოწვეული. ხშირად ასეთი გამოწვევებია დროითი რესურსის დეფიციტი, უსასყიდლოდ საქმიანობისთვის მოტივაციის ან შესაძლებლობის ნაკლებობა, საზოგადოებრივი ცნობიერების დონე, კულტურული ნორმები, ნდობის საკითხი და სხვა. მიუხედავად ამ სირთულეებისა, სათემო ჯგუფები პოულობენ თემთან კომუნიკაციის გზას მათი საჭიროებების გამოსაკვლევად, და მხოლოდ ამის საფუძველზე აუღერებენ თემისთვის პრობლემურ საკითხებს ადგილობრივ ხელისუფლებასთან. ამასთან ერთად კი, ცდილობენ, თემის წევრების ცნობიერებისა და მოტივაციის პრობლემა საინფორმაციო შეხვედრების, ცნობიერების ამაღლების კამპანიების, თემის წევრებთან ინდივიდუალურად მუშაობის საშუალებით გადალახონ. შედეგად, თემში სამოქალაქო მონაწილეობა საგრძნობლად იზრდება. ამ თვალსაზრისით, საკვლევი ჯგუფები იმეორებენ სათემო ორგანიზაციების ლიტერატურაში არსებულ სახეს, რომ მოხალისეობრივი ჯგუფები პასუხობენ ისეთ საკითხებს, როგორცაა სიღარიბე და უთანასწორობა, არახელსაყრელი საარსებო პირობები, ირიბად კი ხელს უწყობენ სამოქალაქო ცხოვრებაში საზოგადოების მონაწილეობას, ქმნიან სივრცეებს, სადაც საზოგადოებას შეუძლია ჩაერთოს იმ პრობლემების მოგვარებაში, რომელთა გადაჭრის უნარიც მთავრობასა თუ კერძო სექტორს არ გააჩნია (კონროითერი, 2011).

მიუხედავად ამისა, თეორიის მიღმა რჩება და არსებული ლიტერატურა სისტემურად ვერ აკავშირებს ერთმანეთთან ისეთ საკითხებს, როგორცაა, ერთი მხრივ, სათემო ჯგუფების პიროვნული მახასიათებლები, მოტივაცია და მათ ხელთ არსებული ფინანსური, დროითი თუ ადამიანური რესურსი, მეორე მხრივ კი, თემის მახასიათებლები, სათემო ჯგუფებისადმი ნდობა და ამ ჯგუფების საქმიანობაში ჩართულობა. მართალია, კვლევა აჩვენებს, რომ სერვისების ნაკლებობა აჩენს კოლექტიური ქმედების ინიციატივას, თუმცა, რამდენად მდგრადი და ეფექტიანი იქნება ეს საქმიანობა, დიდწილად არის დამოკიდებული თემის ჩართულობაზე, თემის ჩართულობას კი მხოლოდ ნდობის ფაქტორი არ განაპირობებს.

გარდა ამისა, როგორც ზოგადად თეორიის, ისე წინამდებარე კვლევის (მისი მასშტაბებიდან გამომდინარე) მიღმა რჩება ბევრი ისეთი გარეგანი ფაქტორი – გეოგრაფიული ადგილმდებარეობა, ინფრასტრუქტურა, სოციალური, ეკონომიკური, კულტურული მახასიათებლები, ეთნიკური, ასაკობრივი შემადგენლობა, და თემის უამრავი სხვა მახასიათებელი, რომელიც შეიძლება გავლენას ახდენდეს

სათემო ორგანიზაციების ჩამოყალიბებასა და საქმიანობაზე. ასეთ ფაქტორებს გარკვეულწილად აყალიბებს სმითი (1997a) მოხალისეობრივი სექტორის თავის „დროებით/არასრულ“ თეორიაში, თუმცა ეს ფაქტორები სრულიად ამერიკის შეერთებული შტატების მაგალითის საფუძველზეა გამოვლენილი, და როგორც მიგნებების ნაწილშია აღწერილი, სრულად ერგება ქართულ კონტექსტს.

როგორც საინიციატივო ჯგუფების საქმიანობის მიზნებიდან, ისე მწირი რესურსებიდან გამომდინარე, კვლევაში მონაწილე ყველა მოქმედი თუ ყოფილი საინიციატივო ჯგუფისა და ორგანიზაციის წევრს აქვს ადგილობრივ ხელისუფლებასთან ურთიერთობის გამოცდილება. ეს გამოცდილება განსხვავდება მუნიციპალიტეტების მიხედვით და დამოკიდებულია როგორც ადგილობრივი ხელისუფლების, ისე სამოქალაქო ჯგუფების ფორმასა თუ მახასიათებლებზე, თუმცა გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის წინაშე არსებული ძირითადი გამოწვევები საერთოა თითქმის ყველა ჯგუფისათვის.

მიუხედავად იმისა, რომ ქართული კანონმდებლობით განსაზღვრულია გადაწყვეტილების მიღების პროცესში თემის ჩართულობის მექანიზმები, სათემო ჯგუფები მათ ეფექტიანად ვერ იყენებენ. ადგილობრივ ხელისუფლებასთან ურთიერთობის ხელშემშლელ ფაქტორად სახელდება როგორც ხელისუფლების ხელთ არსებული მწირი ფინანსური რესურსი, ისე ადამიანურ რესურსთან დაკავშირებული საკითხები, როგორცაა ხელისუფლების წარმომადგენლებისა თუ კადრების პროფესიონალიზმი, კვალიფიკაცია, ადვოკატირებულ საკითხებთან დაკავშირებით ცნობიერების დონე და დამოკიდებულება. ადგილობრივ ხელისუფლებასთან კომუნიკაციის დასამყარებლად თუ მისი მხარდაჭერის მოსაპოვებლად მნიშვნელოვანი ფაქტორია პირადი კავშირებიც.

რაც შეეხება სამოქალაქო ჯგუფების იმ მახასიათებლებს, რომელიც ხელს უწყობს მათ ურთიერთობას ადგილობრივ ხელისუფლებასთან, ძირითადად დასახელდა კოლექტიური ქმედების შესაძლებლობა, კანონმდებლობისა და მონაწილეობის მექანიზმების ცოდნა, დაგროვილი გამოცდილება. მნიშვნელოვან როლს თამაშობს ორგანიზების ფორმაც. საინიციატივო ჯგუფის წევრებისთვის, ორგანიზაციის ფორმალურად დაარსება ბევრ უპირატესობასთან ასოცირდება. ინსტიტუციონალიზაციის შედეგად ჩნდება როგორც მატერიალური, ისე არამატერიალური რესურსის მოძიების არაერთი შესაძლებლობა. ინსტიტუციონალიზაცია ზრდის ჯგუფის ხილვადობას და, ხშირად, სძენს მას მეტ ლეგიტიმაციას ადგილობრივ ხელისუფლებასთან, ხანდახან კი – თემთან ურთიერთობაშიც.

ზემოხსენებულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ სათემო ჯგუფებისა და ადგილობრივი ხელისუფლების ურთიერთობა საქართველოს მუნიციპალიტეტებში გარკვეულწილად იმეორებს დასავლურ გამოცდილებაზე დაყრდნობით შემუშავებულ თეორიულ დაშვებებს, თუმცა განსხვავებაც ბევრია. თუკი სათემო მმართველობის მოდელის მიხედვით, ადგილობრივი ხელისუფლება მოხალისეობრივ სექტორს დემოკრატიული განვითარებისა და მონაწილეობის მნიშვნელოვან წყაროდ მიიჩნევს, ურთიერთობას კი კონტაქტები და ნდობა განსაზღვრავს, რაც მოხალისეობრივი სექტორის ექსპერტიზისა და საქმიანობის საფუძველზე ყალიბდება (Edwards, 2001), საქართველოში, შეიძლება ითქვას, ხელისუფლებისა და სათემო ჯგუფების ურთიერთობა ამ მოდელში ვერ ჯდება, თუმცა არის შემთხვევები, რომელიც მასთან მიახლოების პერსპექტივაზე მიანიშნებს.

მართალია, წინამდებარე კვლევა ადგილობრივი ხელისუფლების მახასია-

თებლებს სათემო ჯგუფების წევრების სუბიექტური აღქმისა და გამოცდილების საფუძველზე განსაზღვრავს (რაც შესაძლოა კვლევის პოტენციური შეზღუდვა იყოს), შედეგები აჩვენებს, რომ სხვადასხვა მუნიციპალიტეტში მოქმედ ჯგუფს ხელისუფლებასთან ურთიერთობის სხვადასხვა გამოცდილება აქვს, რასაც შეიძლება როგორც ხელისუფლების, ისე სათემო ჯგუფების მახასიათებლები განაპირობებდეს. ამ უკანასკნელს კი ზემოთ აღწერილი თეორიები ნაკლებად აანალიზებს, ან არ/ვერ ითვალისწინებს ისეთი ქვეყნების სპეციფიკას, სადაც მმართველობის სისტემა იმდენად არათანმიმდევრულია, რომ ერთი მოდელი შესაძლოა ერთ მუნიციპალიტეტში ხსნიდეს სათემო ორგანიზაციებისა და ხელისუფლების ურთიერთობის დინამიკას, მეორეში კი – ვერა.

იკვებება როგორც მსგავსებები, ისე განსხვავებები საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების საერთო ლანდშაფტთან. გამოწვევები, რომლის წინაშეც დგას ქართული სამოქალაქო საზოგადოება – ფინანსური მდგრადობა, საჯარო იმიჯი, მოსახლეობის ჩართულობა, გადაწყვეტილების მიღების პროცესსა და ქვეყანაში ცვლილებებზე გავლენა (Freedom House, 2021; Puig, 2016), გარკვეულწილად, ვრცელდება სათემო ორგანიზაციებზეც. განსხვავებები იკვებება იმ თვალსაზრისით, რომ სათემო ორგანიზაციებს მეტი პირდაპირი ურთიერთობა აქვთ თემთან და ცდილობენ მის ჩართვას გადაწყვეტილების მიღების პროცესში, დონორების დაფინანსება მათთვის მნიშვნელოვანი რესურსია, თუმცა მათი საქმიანობა ამ უკანასკნელზე არ არის დამოკიდებული, და სხვა. მსგავსება კი იმაში მდგომარეობს, რომ სათემო ორგანიზაციები მაინც დგებიან ისეთი გამოწვევების წინაშე – ფინანსური, დროითი და ადამიანური რესურსების ნაკლებობა, ორგანიზაციული კონფლიქტები ჯგუფის შიგნით, ადგილობრივ ხელისუფლებასთან ურთიერთობის სირთულეები და სხვა – რაც მათ ხანგრძლივ და მდგრად მუშაობას უშლის ხელს.

დაბოლოს, მიუხედავად იმისა, რომ წინამდებარე კვლევას არაერთი შეზღუდვა და განზოგადების ნაკლები პოტენციალი აქვს, შეიძლება ითქვას, რომ ის გარკვეულ როლს ასრულებს ცოდნის ჩამოყალიბებაში საქართველოში ისეთი ჯგუფების აღმოცენების მიზეზების, მახასიათებლების, თემსა თუ ხელისუფლებასთან ურთიერთობის მიმართულებით, რომელზეც აქამდე მსჯელობა ან საერთოდ არ ყოფილა, ან ემპირიულ მონაცემებს არ ემყარებოდა. კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ სათემო ჯგუფებს, რა ფორმატიც არ უნდა ფუნქციონირებდნენ ისინი, მეტი ცოდნა და გამოცდილება აქვთ თემისთვის მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით, მეტად იცნობენ თემის საჭიროებებს, და მათი საქმიანობა სრულიად ამ საჭიროებებზეა მორგებული. შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ კვლევა რაოდენობრივად ვერ ზომავს ნდობის დონეს, ეს კი, თავის მხრივ, ართულებს შედარებების გაკეთებას საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების სხვა კვლევებთან, და მიუხედავად იმისა, რომ ხშირად ნდობასა და ჩართულობას განაპირობებს საზოგადოების ცნობიერება, სოციალური თუ კულტურული ნორმები თუ სხვა, შეიძლება ითქვას, რომ სათემო ორგანიზაციები საქართველოში წარმოადგენენ თემს და იმსახურებენ მის ნდობას, რაც ხშირად თემთან ხანგრძლივი და დაუტალავი მუშაობით მიიღწევა.

ბიბლიოგრაფია

- ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი. (2017). წინააღმდეგობის პოლიტიკა: გამოცდილება და პერსპექტივები, ხელმისაწვდომია: <https://ge.boell.org/sites/default/files/publication.pdf>
- კონროითერი, ფ. (2011). გრასრუტ ასოციაციები. წიგნი ედვარდსი, მ. (რედაქტორი). ოქსფორდის სამოქალაქო საზოგადოების სახელმძღვანელო. კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრი.
- საქართველოს პარლამენტი. (2014). ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი. ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2244429?publication=58>
- წულაძე, ლ. (2020). სოციოლოგიური კვლევის თვისებრივი მეთოდები. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- ჰოვარდი, მ. მ. (2011). სამოქალაქო საზოგადოება პოსტკომუნისტურ ევროპაში. წიგნი ედვარდსი, მ. (რედაქტორი). ოქსფორდის სამოქალაქო საზოგადოების სახელმძღვანელო. კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრი.
- ADB. (2020). Civil Society Brief: Georgia, ხელმისაწვდომია: <https://www.adb.org/sites/default/files/publication/678381/civil-society-brief-georgia.pdf>
- ACSC. (2016). *The roles of civil society in localizing the sustainable development goals*, Position paper, available at https://www.gppi.net/media/KAS_CS0_2016_Localizing_SDGs.pdf
- Ahrne, G. (1998). Civil society and uncivil organizations. *Real Civil Societies: Dilemmas of Institutionalization*. London: Sage.
- Boix, C., and Posner, D.N. (1996). *Making Social Capital Work: A Review of Robert Putnam's Making Democracy Work: Civic Traditions in Modern Italy*, The Weatherhead Center for International Affairs, Harvard University Paper 96-4.
- Brower, R. S. (2011). Voluntary sector organizing in international contexts: An exploration of “third ways”. *International Review of Public Administration*, 16(1), pp. 1-9.
- CIVICUS. (2012). *The State of Civil Society*, available at <https://www.civicus.org/en/getinvolved/join-civicus>
- CRRC. (2020). Caucasus Barometer. available at <https://caucasusbarometer.org/en/cb2020ge/TRUNGOS/>
- Dollery, B., and Wallis, J. (2001). Economic approaches to the voluntary sector: A note on voluntary failure and human service delivery. University of New England School of Economics Working Paper Series in Economics 2001(16), available at <http://www.une.edu.au/febl/EconStud/wps.htm>
- Edwards, M. (2011). Introduction: Civil Society and the Geometry of Human Relations. *The Oxford Handbook of Civil Society*, available at <https://www.oxfordhandbooks.com/view/10.1093/oxfordhb/9780195398571.001.0001/oxfordhb-9780195398571-e-1?print=pdf>
- Edwards, M. (2001). Participatory governance into the future: Roles of the government and community sectors. *Australian Journal of Public Administration*, 60(3), pp. 78-88.
- Eikenberry, A. (2009). Refusing the market: A democratic discourse for voluntary and nonprofit organizations. *Nonprofit and voluntary sector quarterly*, 38(4), pp. 582-596.
- EPCSF and EaP. (2021). *EU-CSO Roadmap 2014-2017 in Georgia: Key Achievements*, available at https://www.euneighbours.eu/sites/default/files/publications/2020-01/Infographics_EU_roadmap_Georgia_rev_16_01_20_ftp.pdf
- EMWI-ACCESS and CTC. (2016). *Assessment of the civil society sector in Georgia*, available at http://ewmi-access.org/wp-content/uploads/2020/01/CSO-ASSESSMENT_ENG_Final.pdf
- Fisher, J. (1993). *The road from Rio: Sustainable development and the nongovernmental movement in the Third World*. Westport CT: Praeger.

- Freedom House. (2015) Nations in transit 2015: Georgia, available at <https://freedomhouse.org/country/georgia/nations-transit/2015>
- Freedom House. (2021) Nations in transit 2021: Georgia, available at https://freedomhouse.org/country/georgia/nations-transit/2021#footnote3_a9uijsh
- Heinrich, V. F. (2004). Assessing and strengthening civil society worldwide: A project description of the CIVICUS civil society index: A participatory needs assessment and action-planning tool for civil society. CIVICUS Civil Society Index Paper Series, 2(1), pp 1-52.
- Kontinen, T., and Millstein, M. (2017). Rethinking civil society in development: Scales and situated hegemonies. *Forum for Development Studies*, 44(1), pp. 69-89.
- Lewis, D. (2014). Anthropology of NGOs, Oxford Bibliographies in Anthropology, available at <https://www.researchgate.net/publication/265973023>
- Lohmann, R.A. (1992). The commons: A multidisciplinary approach to nonprofit organization, voluntary action and philanthropy. *Nonprofit and Voluntary Sector Quarterly*, 21(3), pp. 309-324.
- Mercer, C. (2002). NGOs, civil society and democratization: a critical review of the literature, *Progress in Development Studies*, 2(1), pp. 5-22.
- Mohan, A. (2014). Participatory development. In Desai, V. and Potter, R. (Eds.) *The Companion to Development Studies*. London: Routledge.
- Mohan, G., Stokke, K. (2000). Participatory development and empowerment: the dangers of localism. *Third World Quarterly*, 21(2), pp. 247-268.
- Muller, K.B. (2006). The civil society-state relationship in contemporary discourse: A complementary account from Giddens's perspective. *BJPIR*, 8, pp. 311-330.
- O'Donovan, K. (2019). Disaster recovery service delivery: Toward a theory of simultaneous government and voluntary sector failures. *Administration and Society*, 51(1), pp. 120-139.
- Puig, P., G. (2016). *Situation analysis of civil society in Georgia*. Europe Foundation, available at <https://epfound.ge/wp-content/uploads/2016/12/Situation-Analysis-of-CSOs-in-Georgia.pdf>
- Ross, K., Osborne, S.P. (1999). Making a reality of community governance. Structuring government-voluntary sector relationships at the local level. *Public Policy and Administration*, 14(2), pp. 49-61.
- Ryser, L. and Halseth, G. (2014). On the edge in rural Canada: The changing capacity and role of the voluntary sector. *Canadian Journal of Nonprofit and Social Economy Research*, 5(1), pp. 41-56.
- Salamon, L.M. (1987). Of market failure, voluntary failure and third party government, *Nonprofit and Voluntary Sector Quarterly*, 16, pp. 29-49.
- Smith, D.H. (1997a). Grassroot associations are important: Some theory and a review of the Impact Literature. *Nonprofit and Voluntary Sector Quarterly*, 26(3), pp. 269-306.
- Smith, D.H. (1997b). The Rest of the Non-Profit Sector: Grassroots Associations as the "Dark Matter" Ignored in Prevailing "Flat Earth" Maps of the Sector, *Nonprofit and Voluntary Sector Quarterly*, 26, pp. 114-131.
- Steinberg, R. (2006). Economic theories of nonprofit organizations, in Powell, W.W., and Steinberg, R. (Eds), *The non-profit sector: A research handbook*, New Haven CT: Yale University Press.
- Verba, S., Schlozman, K. L. & Brandy, H. (1995). Voice and equity: Civic voluntarism in American politics. Cambridge: Harvard University Press.
- WeResearch. (2021). საჯარო პოლიტიკის შექმნის პროცესში საზოგადოებრივი მონაწილეობის შეფასება, ხელმისაწვდომია: https://www.ge.undp.org/content/georgia/en/home/library/democratic_governance/assessing-public-participation-in-the-policy-making-process.html

